



# მეცხეთის უნივერსიტეტი

№ 4 (260) აპრილი, 2019 წელი

გამოცემის 1990 წლის დამაარსებელი



## „თითოეულმა აღამიანმა უნდა ისარგებლოს იმ სიკეთით, რაც ქვეყანას გააჩნია“

**სამართლებრივ** საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული სსიპ – „საინფორმაციო ცენტრი ნატოს და ევროკავშირის შესახებ“ – მიერ ორგანიზებული შეხვედრა გაიმართა, 27 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში. ევროკავშირის/შენგენის ზონაში უფიზო მიმოსვლის წესებზე, ასევე, იმ რისკებზე, რომლებიც დაკავშირებულია როგორც ამ წესების დარღვევასთან, ისე ევროკავშირის ქვეყნებში თავშესაფრის მიღების პროცედურების არამართობიერ გამოყენებასთან, სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარი, საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიკოლოზ რთველიაშვილი და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი ბექა ზარანდა ესაუბრნენ.

საინფორმაციო შეხვედრა რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა მერაბ ბერიძემ გახსნა. ბატონმა მერაბმა დამსწრე საზოგადოებას სტუმრები წარუდგინა, ასევე, იმედი გამოთქვა, რომ შეხვედრაზე, სტუდენტების მხრიდან, არაერთი საინტერესო კითხვა გაიჭურვებდა. სტუმრებს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი მაკა ბერიძე მიესალმა: განსაკუთრებულ მადლობას მოგახსენებთ იმისთვის, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გვესტუმრეთ. ვფიქრობ, ნებისმიერი ქართველი თავისი ქვეყნის ელჩია უცხოეთში. ამიტომ, ინფორმირება, განსაკუთრებით ახალგაზრდების, ძალიან მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, რომ თქვენი შეხვედრა შედეგიანად ჩაივლის, ჩვენ მივიღებთ სრულ ინფორმაციას უფიზო მიმოსვლის შესახებ და საქართველოშიც,

ასევე, მის საზღვრებს გარეთაც ვიქნებით ისეთი მოქალაქეები, როგორც შეიფერება ჩვენს ქვეყანას. დიპლომატიური ინსტიტუტის მკვლევარმა, საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა ნიკოლოზ რთველიაშვილმა მიმოიხილა საქართველო-ევროკავშირისა და საქართველო-ნატოს ურთიერთობები. აღნიშნა, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს უმთავრესი პრიორიტეტი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, მომდევნო პრიორიტეტები კი ნატოში გაწევრიანებასა და ევროკავშირთან ინტეგრაციას ეხება. ქვეყნისათვის უმთავრესი არის უსაფრთხოება, რომელსაც მოაქვს ეკონომიკური, კულტურული და სხვა მიმართულებების განვითარება. ამიტომ აირჩია საქართველომ თავის ერთ-ერთ პრიორიტეტად ნატოში გაწევრიანება. – აღნიშნა მან.

გაგრძელება მე-2 გვ.



**სტუდენტთა საუბრიანი კონფერენცია**  
საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტაციო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების სამმართველოს უფროსი ბექა ზარანდასთან

## სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლარის ანგარიში



„ჯანსაღი ცხოვრების წესი შენი აზრებია“

როგორც უნივერსიტეტი აკუთვნის ყველას, ისე უნივერსიტეტის მისიაც უნდა იყოს გააზრებული ყველას მიერ; თითოეულ მოქალაქეს შეუძლია, წვლილი შეიტანოს მისი უნივერსიტეტის განვითარებაში. ყოველი წინადადება, გამოხატულება შეიძლება ერთ-ერთი განათავსოთ უნივერსიტეტის FACEBOOK-ზე ან საკომუნიკაციო ელფოსტაზე.

## მ ი ს ი ა

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მხარის უპირველესი უმაღლესი დაწესებულება – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 1990 წელს დაარსებული ახალციხის ფილიალია და 2002 წელს დაარსებული ჯავახეთის ფილიალის სამართლებრივი განყოფილება.

იგი აგრძელებს ისტორიული მესხეთის (ტაო-კლარჯეთის) უძველესი საგანმანათლებლო ცენტრების ეროვნულ-იდეურ მემკვიდრეობას თანამედროვე საუნივერსიტეტო ტრადიციების შექმნისა და ჩამოყალიბების საშუალებით.

**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, უმაღლესი და პროფესიული განათლების ინტეგრირების, სწავლებისა და კვლევის გზით, წვლილი შეიტანოს საზოგადოების განვითარებაში.**

ობები, რაც განაპირობებს ენის, კულტურისა და ინტელექტის განვითარების უწყვეტობასა და უმაღლესი განათლების ერთიან ევროპულ სივრცესთან შერწყმას.

**ღირებულებები:**  
თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა.

**ხედვა:**  
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვაა, 2027 წლისათვის, უახლოესი მეზობელი ქვეყნების უნივერსიტეტებთან მჭიდრო აკადემიური, სამეცნიერო კონტაქტების საფუძველზე და ევროპის პარტნიორ უნივერსიტეტებთან ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაძლიერების გზით, შექმნას კონკურენტუნარიანი ახალი ცოდნა; განავითაროს განათლების, სოფლის მეურნეობის (აგარარული, ვეტერინარული) დარგები და ჰუმანიტარული მეცნიერებანი. უზრუნველყოს რეგიონი იურიდიული, საჯარო მმართველობის, თანამედროვე კომპიუტერული ტექნოლოგიებითა და ეკონომიკური განათლებით შეიარაღებული კადრებით.

**უზრუნველყოს** ტრადიციულ და ინოვაციურ მეთოდებზე დაყრდნობილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კვლევები, შრომის ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური ცოდნა უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე, პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების მანძილზე;

**დაეყრდნოს** სამცხე-ჯავახეთის განვითარების პრიორიტეტებს, ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრირებას ქართულ საზოგადოებაში;

**აღზარდოს** მაღალზნობრივი, დემოკრატიული და ჰუმანიური სულისკვეთებით გამსჭვალული თა-

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია შემუშავებულია 30-წლიანი არსებობის მანძილზე დაგროვილი გამოცდილებისა და საერთაშორისო კომუნიკაციების საფუძველზე, ასევე, რეგიონის ეროვნულ უმცირესობებთან, დემოკრატიულ მესხებთან და ეკონომიკურ განვითარებასთან და ეკონომიკურ განვითარებასთან ურთიერთობების, კონფესიათა თანაცხოვრების ხელშეწყობის გათვალისწინებით.

„ეთხარით ყელას: დიდს თუ პატარას მამულის ცხოვრება მიმყვება სხივად.“

**კლენე ლდობაძე** – 100

ადრეულ ფერთა მიმატოვებს ზამთრის ბურუსით, თ, ჩემ სულიერ სიმართლას არა აქვს ზღვარი... გაყინულ მთვარეს აღარ ძალუძს მუქი გულუხვი, ნელა შემოდის სიჩუმე ღამის... გადამხმარ ხევს თეთრი ქურქი ჩაუცვამთ ჩუმი... და მთებიც სდუმან... ადრეულ ფერთა მიმატოვებს ზამთრის ბურუსით...  
გვ. 33-37



1978 წლის 14 აპრილი

ფონდი „პრისტალი“ – ახალგაზრდების ბიზნეს-პროექტების წარმატებისთვის  
გვ. 33-9



პირველი გვერდიდან

ბატონი ნიკოლოზის აზრით, ეს პროცესი ძალიან ხანგრძლივია. თავდაპირველად, ნატოს ოფიციალურ წრეებში, ამ საკითხს სკეპტიკურად უყურებდნენ. შემდეგ, ნატოში შესვლისთვის საქართველოს მოსამზადებლად, შემოიღეს გარკვეული ინსტრუმენტები. როგორც სტუმარმა განმარტა, ეს ნაბიჯი აუცილებელი იყო, რადგან საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ბლოკის დაშლის შემდეგ, 1999 წელს, ნატოში გაწევრიანდა პოლონეთი, უნგრეთი და ჩეხეთი. აღმოჩნდა, რომ ეს ქვეყნები კი მიიღეს წევრებად, მაგრამ ნატოს წევრ სახელმწიფოებთან შეუთავსებელი იყვნენ და მხოლოდ შემდეგ დაიწყო ამ საკითხზე ზრუნვა. ნატოში გაწევრიანების მომდევნო ქვეყნები იყო ბალტიისპირეთის ქვეყნები, ყოფილი ვარშავის ბლოკისა და ყოფილი სოციალისტური ქვეყნები, რომლებმაც გაიარეს მოსამზადებელი ეტაპი - მაპი.

**საქართველო მიისწრაფვის, რომ მიიღოს მაპი. სწორედ ამის გარშემო ხდება ხოლმე ინტერესების შეხლა-შემოხლა. ერთის**

ვედრისას, საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაცია, ძალიან რთული და ხანგრძლივი პროცესი. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება ხელმოწერილია; ამ შეთანხმების ხელმოწერამდე ძალიან დიდი სამუშაო ჩატარდა. გარკვეული წინსვლის შემდეგ, დადგა საკითხი ევროკავშირის ქვეყნებში უფიზო მიმოსვლის შესახებ. 2017 წელს მიღებულ იქნა თავისუფალი მიმოსვლის

ტურას. როდესაც ქვეყანა არღვევს მასიურად კანონს, შესაბამისად, ევროკავშირიც სკეპტიკურად უყურებს ასეთ ვითარებას. ის ნახალისება, რაც ევროკავშირმა საქართველოსთვის გასწია, ბატონი ნიკოლოზის აზრით, არ უნდა დადგეს კითხვითი ნიშნის ქვეშ. თითოეულმა ადამიანმა უნდა ისარგებლოს იმ სიკეთით, რაც ქვეყანას გააჩნია. ვიზალიბერალიზაციის თაობაზე, უშუალოდ, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულტო დეპარტამენტის ანალიზისა და დაგეგმარების

რომ არ მოხდეს ამ ხელშეკრულების გაუფასურება, არ გამოიწვიოს ევროკავშირის მხრიდან ხელშეკრულების დროებით შეჩერება და ჩვენი მოქალაქეების მხრიდან უფიზო რეჟიმის დარღვევა, სახელმწიფომ გადაწყვიტა, გარკვეული ღონისძიებები ჩატაროს ამასთან დაკავშირებით. ჩვენ დავდივართ რეგიონებში და ვაცნობთ მოსახლეობას თუ რა სარგებელი მოაქვს უფიზო რეჟიმის შემოღებას და როგორ უნდა ისარგებლოს მოქალაქემ. თერთმეტმა სახელმწიფომ აღიარა, რომ საქართველო არის უსაფრთხო ქვეყანა. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ უფიზო რეჟიმის შემოღებას და რეგიონებში მისი უფიზო რეჟიმის მაძიებლებს საქართველოდან.

სტუმრებს მიესალმნენ და კითხვები დაუსვეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა გულიკო ბექაურმა, იურიდიული ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა მალხაზ ლომსაძემ, ეკონომიკის დოქტორმა ლაშა ჩიბურდანიძემ და სხვადასხვა სპეციალისტების სტუდენტებმა. დისკუსია საინტერესოდ წარიმართა. შეხვედრის დასასრულს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული - სსიპ „საინფორმაციო ცენტრი ნატოს და ევროკავშირის შესახებ“ - წარმომადგენელმა თეონა ზურაბაშვილმა, სტუმრებსაც და მასპინძლებსაც, მადლობა მოახსენა ღონისძიების საინტერესოდ წარიმართვისთვის და აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ცენტრის თანამშრომლობა ყოველთვის წარმატებულია.

## „თითოეულმა ადამიანმა უნდა ისარგებლოს იმ სიკეთით, რაც ქვეყანას გააჩნია“

კა საქართველოსთვის მაპის გადაცემა. სამაგიეროდ, აღიანსმა გადაწყვიტა, აემოქმედებინა პრაქტიკული თანამშრომლობის მექანიზმები. შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, რომელსაც მოჰყვა ევროპული გაწევრიანების ყოველწლიური პროგრამა და სხვა. დღეს საქართველო ნატოს წევრ ბევრ ქვეყანაზე მეტად ასრულებს იმ მოთხოვნებს, რასაც უყენებს თავის წევრ სახელმწიფოებს აღიანსი. - აღნიშნა საუბრის დასასრულს, ბატონმა ნიკოლოზმა. მეორე მიმართულება, რაზეც ყურადღება გამახვილდა შეხ-



უფლება ევროპასთან, რასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება. ამითი ევროპამ აღიარა, რომ საქართველო არის ევროპული ტიპის ქვეყანა და მისი მისწრაფება ევროკავშირისკენ ლეგიტიმურია. ვიზალიბერალიზაცია არის ერთ-ერთი ტესტი, თუ რამდენად ემორჩილება საქართველო ევროპულ სამართლებრივ კულ-

სამმართველოს უფროსმა ბექა ზარანდიამ ისაუბრა. მან აღნიშნა, რომ ვიზალიბერალიზაციის მიღების პროცესებში თავადაც იყო ჩართული და დამსწრე საზოგადოებას გააცნო ის წესები და მოთხოვნები, თუ როგორ უნდა ისარგებლონ მოქალაქეებმა უფიზო მიმოსვლის რეჟიმით და დასძინა: **ორი წელია, რაც უფიზო რეჟიმის სიკეთე მივიღეთ.**

## „პარლამენტის დღე უნივერსიტეტში“

**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში, 23 აპრილს, სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრა გამართა პარლამენტარმა ირინა ფრუიძემ და ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) პროგრამების დირექტორმა ლევან ავალიშვილმა. ღონისძიება უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ გახსნა. მან მადლობა მოახსენა სტუმრებს უნივერსიტეტში სტუმრობისთვის. ჩვენ გვინტერესებს ის საკითხები, რომლებზეც დღეს ისაუბრებთ. - აღნიშნა მან. - ეს არის პარლამენტის ფუნქციონირების საკითხები, ღია პარლამენტის ინიციატივა, დაგეგმილი საქმიანობები და განსაკუთრებით გვინტერესებს უნივერსიტეტების და მოქალაქეების ჩართულობასთან დაკავშირებული სერვისები. საინტერესო თემატიკიდან გამომდინარე, იმედი მაქვს, შეხვედრის ბოლოს დამსწრე საზოგადოების მხრიდან არაერთი კითხვა გააჟღერებს. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ მადლობას მობრძანებისთვის. პარლამენტარმა მადლობა მოახსენა უნივერსიტეტის წარმომადგენლებს მონაწილეობისთვის, ასევე, მადლობა მოახსენა დამსწრე საზოგადოებას პარლამენტის საქმიანობის შესახებ მაღალი ინტერესისთვის. ქალბატონმა ირინამ ისაუბრა ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციასა და საქმიანობაზე, ღია პარლამენტის ფარგლებში საქართველოს მიღწევებსა და სამომავლო გეგმებზე, საპარლამენტო საქმიანობაში მოქალა-

ქეთა მონაწილეობის მიზნით დანერგული სერვისების შესახებ. ქალბატონმა ირინამ აღნიშნა, რომ ღია მმართველობის პარტნიორობა ეს არის მსოფლიო ინიციატივა, რომელიც 2010 წელს ბარაკ ობამამ წამოიწყო და საქართველო ამ პარტნიორობას მალევე, 2011 წელს, შეუერთდა. მან განმარტა, რომ ღია მმართველობა არის ინიციატივა, რომელიც ემსახურება დემოკრატიულ ქვეყნებში მმართველობის გამჭვირვალობას და ხელს უწყობს საზოგადოების მეტ ჩართულობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ქალბატონმა ირინამ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ საქართვე-

ლო გეგმას ახორციელებს. მთავარი არის ის, რომ ჩვენ ამ პროცესში ვმუშაობთ სამოქალაქო საზოგადოებასთან ერთად და თანამშრომლობა ამ მიმართულებით არის სამაგალითო და წარმატებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ ამ საბჭოში ყველა პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენელია ჩართული. - აღნიშნა ირინა ფრუიძემ და საუბარი გააგრძელა სამოქმედო გეგმის მიხედვით განხორციელებულ საქმიანობებზე. სამოქმედო გეგმაში ბევრი ინიციატივა სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან იყო გაჟღერებული. მოხდა თბილისის პარლამენტის შენობის ადაპტირება და ინკლუზიური პირების თა-



ბა პარლამენტის შესახებ ცნობიერების ამაღლებას ეხება.

ლევან ავალიშვილმა შეხვედრაზე შემდეგი განაცხადა: რასაც ვაკეთებთ სამოქალაქო სექტორი და პარლამენტი, არის იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ მოქალაქეებს საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაში, შევთავაზოთ მათ ახლადდანიშნული სერვისები. გამოვიტხოვეთ ინფორმაციები, მოქალაქეების მხრიდან პარლამენტის საქმიანობაში ჩვენ მიერ შეთავაზებული სერვისების გამოყენების კუთხით. აქტივობა არ არის მალაღობა. ზოგადად, პარლამენტის საქმიანობაში ჩართულობის მექანიზმები არსებობს. გვინდა, რომ ეს ინფორმაცია შეიძლოს საზოგადოებას. ჩვენი შეხვედრებიც სწორედ ამ მიზანს ემსახურება.

ღონისძიების დასასრულს სტუმრებმა პარლამენტიდან ამომწურავად უპასუხეს სტუდენტების მიერ დასმულ კითხვებს. ასევე, მოისმინეს უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა მოსაზრებები მათ მიერ გაჟღერებულ საკითხებთან დაკავშირებით.

შეხვედრა „პარლამენტის დღე უნივერსიტეტში“ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა, რომელსაც საქართველოს პარლამენტი სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში ატარებს. ამ ინიციატივის მხარდამჭერები არიან ევროკავშირი (EU), გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ინფორმაციის თავისუფლების ინსტიტუტი (IDFI).

გვერდი მოამზადა ლიპა ზაზაშვილმა



ლოს პარლამენტში შეიქმნა მუდმივმოქმედი საბჭო, რომელმაც დაიწყო სამოქმედო გეგმის განხორციელება. რამდენიმე შემთხვევა იქნება მსოფლიოში, რომელსაც აქვს ასეთი ინსტრუმენტი - პარლამენტში მუდმივმოქმედი საბჭოს სახით; ის, კონკრეტულად, მუშაობს პარლამენტის ღიაობაზე, გამჭვირვალობაზე და საზოგადოების ჩართულობაზე საპარლამენტო პროცესებში. ეს საბჭო დღეის მდგომარეობით მესამე სამოქმე-

ვისუფლად შეუძლიათ ისარგებლონ ნებისმიერი სერვისით. როდესაც პარლამენტში განსახილველად შედიოდა კანონპროექტი, რთული იყო მოძებნა, თუ რა ცვლილებები შედიოდა მოსმენების დროს. ახლა, ყოველი მოსმენის შემდეგ, ვებსაიტზე იდება კანონპროექტი, რომელშიც გამოყოფილია მასში შეტანილი ცვლილებები.

პარლამენტარმა, ასევე, ისაუბრა ახალი სამოქმედო გეგმით აღებულ ვალდებულებებზე. აღნიშნა, რომ სამოქმედო გეგმა 5 ვალდებულებას აერთიანებს. პირველი ვალდებულება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაში პარლამენტის როლის გაზრდას ითვალისწინებს; მეორე - ბიუჯეტის შემუშავების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდას; მესამე - ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვით პარლამენტის გამჭვირვალობის გაძლიერებას გულისხმობს; შემდეგი ინიციატივა მოქალაქეთა ჩართულობის ცენტრის შექმნას ემსახურება და ბოლო ვალდებულო-







24 აპრილს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დედაენის დღისადმი მიძღვნილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა.

კონფერენცია რექტორის მოადგილემ სასწავლო დარგში, პროფესორმა ნიკოლოზ ახალკაცმა გახსნა. მან აღნიშნა, რომ განათლების სამეცნიერო უნივერსიტეტი უმნიშვნელოვანესია. ამიტომ, სტუდენტებისთვის კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობა მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ისინი არამარტო თეორიულად ამზადებენ საკითხებს, არამედ ეცნობიან სამეცნიერო მუშაობის ელემენტებს. ამიტომ, სასურველია, რაც შეიძლება მეტი სტუდენტი ჩაერთოს კონფერენციებში. მინდა, მადლობა ვუთხრა ყველა მონაწილეს, ასევე, მათი თემების ხელმძღვანელებს და კონფერენციის ორგანიზატორებს. - აღნიშნა მან.

სტუდენტებს მიესალმნენ და ნაყოფიერი მუშაობა უსურვეს განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი გულიკო ბექაური, იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი მალხაზ ლომსაძე, ბიზნეს-ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ცისკარა ზარანდია, ინჟინერიის, აგრარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, ასოცირებული პროფესორი ლერი ნოზაძე. კონფერენციაზე დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ სტუდენტები ნათია გურიჯიშვილი და ანა არუთუნიანი.

მოგესალმებით. მადლობა მინდა ვუთხრა იმ სტუდენტებს, ვინც ჩაერთო კონფერენციის მუშაობაში. მინდა გამოვთქვა გულსტეკივილი კონფერენციაში სტუდენტთა სიმცირის გამო. ამ საკითხზე ჩვენ აუცილებლად ვიფიქრებთ. განწყობა, მზაობა, მოტივაცია სტუდენტების მხრიდან უნდა იყოს მეტი, რადგან კონფერენციებში მონაწილეობა ეს არის პროფესიულად, პიროვნულად გაზრდის, ურთიერთგამოცდილების გაზიარების კარგი საშუალება. გისურვებთ წარმატებებს. - აღნიშნა პროფესორმა გულიკო ბექაურმა.

ძალიან კარგი ტრადიციაა, რომ უნივერსიტეტში ჩატარებული კონფერენციები ეძღვნება და ეხმარება მნიშვნელოვან მოვლენებს. დღევანდელი კონფერენცია დედაენის დღისადმი მიძღვნილი. მინდა შევასვენო საზოგადოებას, რომ გუგლის საძიებო სისტემამ თავის ხელოვნებისა და კულტურის გალერეაში განათავსა ქართული ანბანის შექმნის ისტორია, სადაც ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ ასომთავრული, ნუსხური და მხედრული იუნესკომ აღიარა, როგორც არამატერიალური კულტურის ძეგლი. თითოეულმა ჩვენგანმა უნდა გავითავისოთ ამ დღის მნიშვნელობა. აქვე მინდა, მადლობა ვუთხრა კონფერენციაში მონაწილე

თითოეულ სტუდენტს. - აღნიშნა პროფესორმა ცისკარა ზარანდიამ.

კონფერენციის მუშაობა გარდქელდა სექციებში 70 მომხსენებლის მონაწილეობით. ქართული ენისა და ლიტერატურის სექციას ხელმძღვანელობდა - პროფესორი მერაბ ბერიძე, თანახელმძღვანელი - მაგისტრანტი ნინო ქიქოძე; განათლების სექციას - პროფესორი ირმა ქურდაძე, თანახელმძღვანელი - სტუდენტი ასია ანტონიანი; ისტორიისა და ინგლისური ფი-

მართულების სტუდენტები. სიმართლე გითხრათ, კმაყოფილი არ ვარ ენის მიმართულების სტუდენტთა სიმცირის გამო. სამომავლოდ ამაზე აუცილებელია მეტი იზრუნონ პროფესორებმა, ვისაც ეს ევალება. მათ უნდა იმუშაონ სტუდენტებთან. ნიშანდობლივია ისიც, რომ სექციაზე, ძირითადად, მაგისტრანტები გამოვიდნენ. კარგი იქნებოდა, რომ ყოფილიყვნენ ბაკალავრიატის სტუდენტებიც. ნებისმიერი კონფერენცია სიახლეზე უნდა იყოს ორიენტირებული. მოველოდი, რომ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად იქნებოდა მოხსენებები შესრულებული. სამომავლოდ ბევრი მუშაობაა საჭირო ამ მიმართულებით.

მარაზ ბერიძე, ასოცირებული პროფესორი: განათლების სექციაზე წარმოდგენილი იყო მოხსენებები განათლების, ფსიქოლოგიისა და ცალკეულ საგანთა სწავლების მიმართულებით. მომხსენებლები იყვნენ

ბოტი, კვლევის სიღრმითა და ანალიზით. მოხსენებებში აქცენტები მიმართული იყო სასკოლო განათლების სისტემაში მიმდინარე სიახლეების დაწერვისა და სასკოლო განათლების ხარისხის გაუმჯობესებისკენ; გაანალიზეს მასწავლებლის პროფესია. მაღალი კურსის სტუდენტებმა საკითხები გააშუქეს სასწავლო პრაქტიკასთან კავშირში. თითოეული მოხსენების ირგვლივ გაიმართა დისკუსია. მომხსენებლებმა მსმენელთა შეკითხვებს უპასუხეს.

ლოლო ბერიძე, ისტორიის დოქტორი: ისტორიისა და ინგლისური ფილოლოგიის სექციამ იმუშავა ნაყოფიერად და საინტერესოდ. წარმოდგენილი თემები შეეხებოდა ინგლისური ენის ლინგვისტიკას და საქართველოს ისტორიის საკითხებს. სტუდენტებმა ისაუბრეს თემების ირგვლივ, გამოამჟღავნეს ღრმა ცოდნა და კომუნიკაციის უნარი. პროგრამაში მოცემული სტუდენტებიდან, კონფერენციაზე ყველა მათგანი

შეაფასეს გამომსვლელი მეგობრები და გამოთქვეს მოსაზრება თუ რომელი პრეზენტაცია ან ნაშრომი მოეწონათ.

ნათია ბერიძე, სტუდენტი: ეკონომიკისა და ბიზნესის №1 სექციის მუშაობა საინტერესოდ წარმართა. გამოვარჩიე რამდენიმე სტუდენტი, რომლებმაც წარმოდგინეს განსაკუთრებით საინტერესო თემები. არიან სტუდენტები, რომლებსაც არ აქვთ პრეზენტაციის უნარი. კონფერენციაში ჩართულობის თვალსაზრისით, კარგი იქნება, თუ ისინი დაეხმარებიან მეგობრებს, მაგალითად, პრეზენტაციის მსვლელობის პროცესში, საპრეზენტაციო მასალის მომზადებაში. ასე შეიძლება დაავიანტურესოთ სხვა სტუდენტებიც, მიიღონ მონაწილეობა კონფერენციების მუშაობაში.

გიორგი ბუცხრიძე, პროფესორი: ეკონომიკისა და ბიზნესის №2 სექციაზე, თითქმის, ყველა სტუდენტი იყო წარმოდგენილი. თემატიკა იყო საინტერესო. შეეხებოდა სამცხე-ჯავახეთის პრობლემეტიკას. მაგისტრანტებმა კონფერენციაზე, სამაგისტრო დისერტაციის გარკვეული ნაწილები წარმოადგინეს. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ბაკალავრების გამოსვლა. მათ წარმოაჩინეს თავიანთი ხედვები, რეკომენდაციებისა და წინადადებების სახით. გასული წლისგან განსხვავებით, ჩვენი სექციის მუშაობა ნელს იყო ბევრად კარგი და ნაყოფიერი.

ლერი ნოზაძე, ასოცირებული პროფესორი: აგრარულ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციაზე 14 მოხსენების მომხსენა იყო დაგეგმილი, მაგრამ ერთმა მომხსენებელმა სხვა სექციაში წარადგინა თემა. ვერ გამოვარჩევ, რომელი მოხსენება იყო უკეთესი. ყველა თემა საკმაოდ მაღალ დონეზე იქნა წარმოდგენილი. ეს რეგონი არის მეკარტოფილოებისა და სტუდენტების მხრიდან გაჩნდა სურვილი, რომ შუალედურ კულტურად პრეტიკალის მოყვანა შემოვიტანოთ, რადგან არ გაცდება მინა დატვირთვის კარგე. ასევე, საინტერესოდ გაკეთდა სტუდენტების მიერ შექმნილი პროგრამების პრეზენტაციები.

მალხაზ ლომსაძე, პროფესორი: საჯარო მმართველობისა და სამართლის სექციაზე წარმოდგენილი იყო რვა მოხსენება. სექციის მუშაობას თემების ხელმძღვანელებმა ისაუბრეს და წინადადებებიც გამოვარჩიეს. თემატიკა იყო მრავალფეროვანი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა წარმოადგინეს სიახლეები. ბაკალავრებმა და მაგისტრანტებმა ისაუბრეს მედიაციის, რელიგიისა და რწმენის საკითხებზე, განიხილეს საპენსიო რეფორმის ხარვეზები და სხვა საინტერესო საკითხები. გაიმართა დისკუსია. მუშაობას სხვა დაინტერესებული სტუდენტები ესწრებოდნენ და ისინი აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ამ თემებზე მუშაობას ისინი კვლავ გააგრძელებენ.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა შემდეგი გახლდათ: რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში, პროფესორი მერაბ ბერიძე, ფაკულტეტების დეკანები და კონფერენციის მდივანი, უფროსი სპეციალისტი მანანა იოსელიანი.

P.S. სერტიფიკატების მისაღებად კონფერენციაში მონაწილე სტუდენტებმა შესაბამის დეკანატებს უნდა მიაკითხოთ.

ლიკა ზაზაშვილი

# სტუდენტთა საეკონომიკო კონფერენცია

## საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებში



ლოლო ბერიძე, ასოცირებული პროფესორი გულიკო ჯანოვა, თანახელმძღვანელი - სტუდენტი გიორგი ტაბატაძე; ეკონომიკისა და ბიზნესის სექციას (№1) - ასოცირებული პროფესორი ნანა ჯღარკავა, თანახელმძღვანელი - მაგისტრანტი თამარ ბერიძე; ეკონომიკისა და ბიზნესის სექციას (№2) - პროფესორი გიორგი ბუცხრიკიძე, თანახელმძღვანელი - მაგისტრანტი რუსუდან ტაბატაძე; აგრარულ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციას - ასოცირებული პროფესორი ლერი ნოზაძე, თანახელმძღვანელი - მაგისტრანტი სოფიო მელიქიძე; საჯარო მმართველობისა და სამართლის სექციას - პროფესორი მალხაზ ლომსაძე, თანახელმძღვანელი - სტუდენტი მარიამ სუღაძე.

შემადგამებული სხდომისთვის კონფერენციის მონაწილეები კვლავ პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში შეიკრიბნენ. სექციების მუშაობა მისმა ხელმძღვანელებმა შეაჯამეს.

მერაბ ბერიძე, პროფესორი: ქართული ენისა და ლიტერატურის სექცია 14 მომხსენებლით იყო წარმოდგენილი, ძირითადად იყვნენ ლიტერატურის მი-



როგორც დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის, ასევე, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო მიზორ და საჯარო მმართველობის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტები, რომლებიც შესაბამისად სწავლობენ პედაგოგიური ციკლის დისციპლინებს და ფსიქოლოგიის სასწავლო კურსს. კონფერენციის პროგრამით გათვალისწინებული მოხსენებების გარდა, განათლების სექციაზე წაკითხული იქნა აგრარულ, საინჟინრო და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა სექციის მონაწილის, დაწყებითი განათლების საბაკალავრო პროგრამის II კურსის სტუდენტის მარიამ დიასამიძის მოხსენება. თითოეული მოხსენება გამოიჩინა თემის აქტიულო-

წარსდა. გარდა მონაწილეებისა, სექციის მუშაობას სხვა სტუდენტებიც ესწრებოდნენ. ისინი აქტიურად ჩაერთვნენ დისკუსიაში და არაერთი კითხვა დაუსვეს მონაწილეებს. სექციამ წარმატებულად იმუშავა.

ნანა ჯღარკავა, ასოცირებული პროფესორი: ეკონომიკისა და ბიზნესის №1 სექციის თემატიკა იყო მრავალფეროვანი. დისკუსიაში ჩაერთო კონფერენციის ყველა მონაწილე. სტუდენტებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ხშირად შეიკრიბნენ და იმსჯელონ საინტერესო საკითხებზე. მათ ჩამოყალიბებული აქვთ ახალგაზრდა „ეკონომისტთა კლუბი“ და აქვთ შესაძლებლობა, განიხილონ სხვადასხვა საკითხები. სტუდენტებმა თავად



სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერმა, პროფესორმა რომან თათეშვილმა, 18 აპრილს, წარმოადგინა სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერის ანგარიშები, რომლებიც გთავაზობს სრული სახით.

საბუღალტრო სამსახურის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის შესრულება მიმდინარეობდა დამტკიცებული ფინანსური გეგმის შესაბამისად. ბიუჯეტი, 2017 წლის 21 დეკემბერს, დაამტკიცა წარმომადგენლობითმა საბჭომ. შემოსავლითი ნაწილი განისაზღვრა 4 291 440 ლარი. დამტკიცებულ ბიუჯეტში ბოლო ცვლილება განხორციელდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 17 ოქტომბერს. აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, 2018 წლის დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავალი დაზუსტდა და შეადგინა 4 794 883 ლარი, რომელიც გადანაწილდა შემდეგი დაფინანსების წყაროების მიხედვით: ნაშთი ანგარიშზე 01.01.2018 წლის მდგომარეობით - 973 433 ლარი. მათ შორის: საერთაშორისო ორგანიზაციიდან საგრანტო დაფინანსება 75 788 ლარი (CASEDE - 1002.64 ლარი, ASPARE - 7862.85 ლარი, CURE - 34033.85, INTEGRITY - 26660.87 და DOITI - 6227.79 ლარი), რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან - 18 025 ლარი და ეკონომიკური შემოსავლიდან - 879 620 ლარი; სწავლის საფასური - 3 377 440 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული პროგრამული დაფინანსება: სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს - 68 400 ლარი; პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან:

- გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდია - 4 320 ლარი;
- სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის „ახალგაზრდული ინიციატივეის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობისათვის“ - 25 740 ლარი;
- უნივერსიტეტისათვის ლაბორატორიის მოწყობისა და აღჭურვის მიზნით - 50 351;
რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან - 17 680 ლარი;
კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები - 277 519 ლარი;
მათ შორის - საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავალი - 202 519 ლარი;
- სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 75 000 ლარი.

2018 წლის ფაქტიურმა წლიურმა შემოსავალმა შეადგინა 3 925 722 ლარი, მათ შორის: 2018 წლის განმავლობაში სწავლის გადასახადმა შეადგინა 3 457 717 ლარი, რამაც დაგეგმილს 80 277 ლარით გადააჭარბა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს, ძირითადად, გამოწვეულია იმ ფაქტორით, რომ 2018 წლის იანვარში მისაღები გრანტები და მასწავლებლის მომზადების პროგრამის ფარგლებში მისაღები სემესტრული დაფინანსება, სულ - 195 862 ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებულმა ფაქტობრივმა პროგრამულმა დაფინანსებამ, კერძოდ „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ პროგრამის ფარგლებში 68400 ლარი (გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 100%); პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან:
- გრიგოლ ხანძთელის სახელობის სტიპენდია - 4320 ლარი (გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 100%);
- სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის „ახალგაზრდული ინიციატივეის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობისათვის“ - 25740 ლარი

(გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 100%);
- უნივერსიტეტისათვის ლაბორატორიის მოწყობისა და აღჭურვის მიზნით - 50351 ლარი (გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 100%);
ჩაირიცხა, ასევე, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდიდან პროექტის - „რელიგიური უმცირესობები სამცხე-ჯავახეთში“ - ფარგლებში სულ 42 315 ლარი; მათ შორის, 17680 ლარი - გეგმით გათვალისწინებული და დეკემბერის ბოლოს - 24 635 ლარი, რომელიც დაგეგმილი არ იყო.
კანონმდებლობით ნებადართულმა სხვა შემოსავლებმა, ფაქტობრივად, შეადგინა 276 879 ლარი (გეგმით გათვალისწინებული შემოსავლის 99 %); მათ შორის: ა. საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავალი - 202 519 ლარი; ბ. სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 74360 ლარი.
ეკონომიკური და ბიუჯეტური შემოსავლებით გათვალისწინებული ასიგნება განეუღო კლასიფიკაციით დამტკიცებული მუხლების შესაბამისად და შეადგინა 3 232 342 ლარს (2018 წლის გეგმით გათვალისწინებული ასიგნების 77%). მათ შორის:

ა) შრომის ანაზღაურება (21)

სამტატო განრიგით დამტკიცებულ აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალზე შრომის ანაზღაურება გაცემულია 1 691 660 ლარი, მათ შორის, პრემია - 139 038 ლარი და დანამატი - 25 347.

ბ) საქონელი და მომსახურება (22) შეადგენს 1 179 618 ლარს. მათ შორის:
- შტატგარეშე მომსახურება პერსონალის შრომის ანაზღაურება - 694 031 ლარი (მათ შორის, ეკონომიკური შემოსავლიდან - 614 633 ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან 50 215 ლარი, რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ფარგლებში - 6 783 ლარი და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის ფარგლებში 22 400 ლარი), სულ ხელფასებმა შეადგინა 2 385 591 ლარი, რაც განეუღო ასიგნების 74 %-ს შეადგენს.

- მივლინებები (222) შეადგენს - 103 797 ლარს (მათ შორის, 98 317 ლარი საერთაშორისო ორგანიზაციიდან მიღებული შემოსავლიდან; 2018 წლის გეგმით გათვალისწინებული მივლინების ხარჯის 75%).

- ოფისის ხარჯი (223) შეადგენს 192 434 ლარს (2018 წლის გეგმით გათვალისწინებული ოფისის ხარჯის 73 %).

აღნიშნული მუხლი მოიცავს მცირეფასიანი საფოსტო ტელეკომუნიკაციების ხარჯს - 16 874 ლარი; მათ შორის, კომპი-

უტერული ტექნიკის ხარჯი - 10 698 ლარი, კარტრიჯების შეძენა - დამუხტვის - 5 258 ლარი, საოფისე ტელეფონების - 108 ლარი, გამათბობელი და გამაგრილებელი ტექნიკა - 503, სხვა მცირეფასიანი ტექნიკა - 307; მცირეფასიანი საოფისე ინვენტარის შეძენის და დამონტაჟების - 11 716 ლარი; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის ხარჯი - 8163 ლარი, ნორმატიული აქტების, ჟურნალ-გაზეთების შეძენის და სასტამბო ხარჯი - 9389 ლარი, შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი - 13 445 ლარი, კომუნალურ გადასახადების ხარჯი - 101 708 ლარი, კავშირგაბმულობის ხარჯი - 11 868 ლარი, საფოსტო მომსახურების ხარჯი - 358 ლარი, ოფისის ხარჯის ფარგლებში შეძენილია:

საკანცელარიო საქონელი 11 630 ლარის ღირებულების, ოფისისათვის საჭირო რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი შეადგენს 3 940 ლარს.

საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯია 3 343 ლარი.

- წარმომადგენლობითმა ხარჯმა (224) შეადგინა 6 684 ლარი (მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა

ლარი, ხოლო ტრანსპორტის დაქირავების ხარჯი შეადგენს 4374 ლარს (მათ შორის, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მოსწავლე-ახალგაზრდობის ზოგადი განათლებისა და სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებისთვის „ახალგაზრდული ინიციატივეის ხელშეწყობა ეთნიკური უმცირესობისათვის“ ფარგლებში - 2000 ლარი).

- სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების ხარჯი (2210) 130 793 ლარია (სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების ხარჯი დაგეგმილი ხარჯის 56%). მათ შორის, შენობის დაცვის ხარჯებმა - 97500 ლარი, რეკლამის ხარჯმა - 4200 ლარი, სესიების, კონფერენციებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზების - 2192 ლარი, კულტურული, სპორტული და საგამოფენო ღონისძიების - 10152 ლარი, აუდიტის მომსახურების - 1575 ლარი, სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების ხარჯი სხვა დანარჩენი ხარჯია 15175 ლარი, მათ



ზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსებით ლაბორატორიის მოსახერხებელი - 44312 ლარი, შიდა საუნივერსიტეტო სამეცნიერო გრანტის ფარგლებში ხელის ტრაქტორი - 2600 ლარი, პერსონალური კომპიუტერები - 22 834 ლარი, უწყვეტი კვების წყარო - 1660 ლარი, ფოტოაპარატის შეძენისათვის - 1915 ლარი, ვიდეო სამეთვალყურეო სისტემის აპარატურის შეძენისათვის - 10 185 ლარი). ავეჯი და რბილი ავეჯი - 1 619 ლარი, პროექტორები - 4260 ლარი, სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი / ნივნები / 7741 ლარი,

არამატერიალური ძირითადი აქტივები (აკრედიტაციის მიზნით გადახდილი თანხა) - 13 024 ლარი. 2019 წლის 1 იანვრისათვის გარდაამავალმა ნაშთმა შეადგინა 1 666 813 ლარი, დებიტორულმა დავალიანებამ - 354 774 ლარი; აღნიშნული დავალიანება არის, ძირითადად, სტუდენტთა სწავლის გადასახადი, წლების განმავლობაში დაგროვებული (2015 წელი - 71998 ლარი, 2016 წელი - 69612 ლარი, 2017 წელი - 22062 ლარი, 2018 წელი - 97110 ლარი).

2019 წლის იანვარ-თებერვალში ჩაირიცხა დავალიანებიდან 57811 ლარი, 2018 წლის დებიტორულ დავალიანებად დარჩა 39299 ლარი.

ინფრასტრუქტურა

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში მოხდა ძველი, უმოქმედო საქვაბის დემონტაჟი, გარემონტდა ფართი და მის ნაცვლად დამონტაჟდა ახალი, ბუნებრივ აირზე მომუშავე ქვაბი, ასევე, დამონტაჟდა დევეფენბში და სველ ნერტივებში გათბობის სისტემა, რამაც რადიკალურად შეცვალა მდგომარეობა. ეფექტობ, ეტაპობრივად ძველი სისტემა მთლიანად შესაცვლელია. მოეწყო მეორე სართულის სველ ნერტივებში ცხელი წყლის სისტემა, რამაც გააუმჯობესა პირობები, განსაკუთრებით დამლაგებლების.

მოეწყო სტანდარტული პანტუსი, შეიცვალა შესასვლელი კარი, ასევე, შეიცვალა საევაკუაციო კარი. მოეწყო, ყველა სტანდარტის გათვალისწინებით, სველი ნერტივი. გაიმომცემლობაში, რომელიც ერთ ოთახში იყო განთავსებული, თანამშრომლებს არ ჰქონდათ შესაბამისი პირობები, ოთახს არ ჰქონდა ვენტილაცია, საღებავებისა და ნების სუნი ქმნიდა არაუფროსად სამუშაო გარემოს, მოხდა ოთახის რეკონსტრუქცია, გაიმიჯნა დანადგარები, მოეწყო ვენტილაცია, რამაც საგრანტოდად გააუმჯობესა სამუშაო პირობები. განახლდა ეზოში არსებული სკამები, გადაიღება ეზოში შემოსასვლელი კარი და რკინის ლოპე, მოეწყო სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემა.

მეორე კორპუსში მოეწყო ცენტრალური მისასვლელი გზა, განხორციელდა კორპუსის პირველი სართულის ფასადის რეაბილიტაცია, არასტანდარტული პანტუსის დემონტაჟი და მოეწყო, სტანდარტების გათვალისწინებით, შესაბამისი პანტუსი.

სამეცნიერო გიგლიოთეკა

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სამივე სასწავლო კორპუსში, აუცილებელი ინვენტარითაა აღჭურვილი. პირველ კორპუსში მომხმარებლებისთვის არის 25 კომპიუტერი, მეორეში - 14, ხოლო ახალქალაქში - 5; სამივე დარბაზშია ასლგადამღები და სკანერი.

2018 წელს, საბიბლიოთეკო ფონდის განახლებისა და შევსების მიზნით, მოთხოვნების საფუძველზე, ეკონომიკური შემოსავლებიდან ნაყიდა 4636 ლარის ნიგნი, ხოლო ნაჩუქარია 1281 ლარის ნიგნი. ასევე, ფონდის შევსება განხორციელდა შიდა გამოცემებით. ფონდი შეივსა 928 ნიგნით.

„ელვა-ჯი“-სთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე







ბიბლიოთეკა მარაგდება სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთებით.

განხორციელდა ახალი წიგნების ელექტრონულ კატალოგში (ოპენბიბლიო) შეყვანა. დასრულებულია მთელი წიგნები ფონდის, ავტორფერატების, სამაგისტრო ნაშრომების კატალოგში შეყვანა და კოდირება.

უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განთავსდა ლინკი „ელექტრონული წიგნები“, სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიებით, რაც საშუალებას მისცემს სტუდენტებს, ნებისმიერი ადგილიდან, სადაც ინტერნეტი ხელმისაწვდომია, ისარგებლოს წიგნების ელექტრონული ვერსიებით.

2018 წლის ინვესტირების შედეგად სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სულ 46 545 წიგნი აღინერა. ძირითადი წიგნები ფონდიდან, რარიტეტული წიგნების შერჩევის წესის შესაბამისად, გამოიყო 229 წიგნი.

2018 წელს სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის ხელშეწყობისა და გაუმჯობესების მიზნით, 34 სხვადასხვა სახის ღონისძიება ჩატარდა.

### საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მუშაობის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი უნივერსიტეტის შესახებ სტუდენტებისა და საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება და მისაწოდებლად ეფექტური სისტემის შექმნაა. ამისთვის, განყოფილების მიერ, დაიგეგმა და განხორციელდა 216 ღონისძიება. მოეწყო დასაქმების ფორუმი და სხვა მნიშვნელოვანი შეხვედრების ორგანიზება, ასევე, განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია სკოლების მიმართულებით განხორციელებული მუშაობა. 26 სექტემბერს და 23 მარტს უნივერსიტეტში მოეწყო „ღია კარის დღე“ სადაც მოწვეული იყო რეგიონის მუნიციპალიტეტების საჯარო სკოლების დამამთავრებელი კლასების მოსწავლეები. განხორციელდა სკოლებში გასვლითი და ადგილზე სასკოლო ოლიმპიადების ხელშეწყობი ღონისძიებები.

რეგიონის ექვს მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს 201 საჯარო სკოლა, სადაც 1902 დამამთავრებელი კლასის მოსწავლე ფიქსირდებოდა, ანუ პოტენციური აბიტურიენტი. ჩვენს უნივერსიტეტში მათგან ჩაირიცხა 298 სტუდენტი, პროფესიულ საფეხურზე – 67 სტუდენტი; გასულ წელთან შედარებით, გაზრდილია კონტინენტი, თუმცა, გასატარებელი ღონისძიებები ამ მიმართულებით გასააქტიურებელია. სწორედ ამისათვის ამოქმედდა აბიტურიენტთა მომზადების კურსები, რომელიც, ვფიქრობ, ეფექტურად აისახება ახალ შევსებაზე.

უნივერსიტეტის ცნობადობის ამაღლებისა და საზოგადოების ინფორმირებისათვის უდიდესი ფუნქცია აკისრია გაზეთ „მეცნიერების უნივერსიტეტს“. 2018 წელს დაიბეჭდა გაზეთის 11 ნომერი, თითოეული 12 გვერდიანი, 300 ეგზემპლარით.

### გამოცემა

2018 წელს გამოცემლობაში შესრულებული იქნა 73 დასახელების შეკვეთა, მათ შორის, 16 დასახელების გარე შეკვეთა. ორივე შეკვეთაზე გაიხარჯა 5 960 ლარის ღირებულების მასალა.

2018 წელს შემოსავლების ჯამი შეადგენს გარე შეკვეთებიდან 4078 ლარს, ხოლო წიგნების რეალიზაციიდან შემოსული თანხა – 658 ლარს. ორივე შემოსავლის ჯამი შეადგენს 4736 ლარს.

### უწყვტილი ბანათლება

მიმდინარე წელს ამოქმედდა უნივერსიტეტის სრული დაფინანსებით პროფესორ – მასწავლებელთა ინგლისური ენის შემსწავლელი კურსები; საქართველოს შემთხვევაში, აღნიშნული აქცია მიმდინარე წელსაც გაგრძელდება. დამატებით აღნიშნულ მომსახურებას მიიღებს აღმინისტრაციული პერსონალიც, ასევე, 2018 წელს დაიწყო და მიმდინარეობს მეტად მნიშვნელოვანი პროექტი ეროვნული გამოცდებისათვის აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების მხარდაჭერისათვის.

### კულტურა და სპორტი

2018 სასწავლო წელს სისტემატური ხასიათი ჰქონდა შიდასა-უნივერსიტეტო ტურნირებსა და ჩემპიონატებს სპორტის სხვადასხვა სახეობაში. სტუდენტები აქტიურად იყვნენ ჩართული მუნიციპალურ და რესპუბლიკურ კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ ღონისძიებებში. აღსანიშნავია ფუტსალის გუნდის ასპარეზობა, რომელსაც ატარებს საქართველოს სპორტის საუნივერსიტეტო ფედერაცია. წარმატებით ჩატარდა შიდასაუნივერსიტეტო ჩემპიონატი მკლავჭიდაობაში, გამარჯვებულ ოთხ სტუდენტს სტიმულირებისათვის გადაეცათ 50 ლარიანი აბონიმენტები ქალაქის ფიტნეს დარბაზში სავარჯიშოდ.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს ხმის ჩამწერი სტუდია, სადაც ხდება სტუდენტების მიერ შერჩეული მუსიკალური კომპოზიციების არანჟირება, სწავლება, ჩანერა-დამუშავება. სტუდენტები ეცნობიან და ეუფლებიან ქართულ ფოლკლორსა და საესტრადო სიმღერებს, რაც მათ აძლევთ საშუალებას მიიღონ მონაწილეობა საუნივერსიტეტო მხატვრულ ღონისძიებებში. წარჩინებული და აქტიური, ასევე სოციალურად დაუცველი სტუდენტებისათვის შექმნილი იქნა აბონიმენტები მესხეთის თეატრის სპექტაკლებზე დასასწრებად.

უნივერსიტეტთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „ახალციხე“ აქტიურადაა ჩართული როგორც საუნივერსიტეტო, ასევე, რესპუბლიკურ ღონისძიებებში, რისთვისაც აქტიური მხარდაჭერა აქვს ანსამბლს.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო და, ამავე დროს – სიახლე, პირველკურსელთათვის, ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი მიძღვნილი, გაცნობითი-ინფორმაციული ხასიათის კვირეული. მოხდა ანსამბლის ახალი წევრებით შევსება. გაიმართა საჩვენებელი მატჩი ფუტსალში, პირველკურსელების მონაწილეობით. სტუდენტურმა შემოქმედებითმა ჯგუფმა საზეიმო კონცერტი მიუძღვნა პირველკურსელებს, მოეწყო ლაშქრობა უნივერსიტეტი – საფარა; მასში მონაწილეობა მიიღო ასოციაში პირველკურსელებმა, სტუდენტურ თვითმმართველობასთან ერთად. მეტად შთამბეჭდავი იყო რექტორის მონაწილეობა ლაშქრობაზე, რისთვისაც მადლობა მიიღო მოვასენო. კვირეულის საზეიმო დახურვა მოეწყო რესტორანში.

განსაკუთრებული იყო 2018 წლის გაცელება – უნივერსიტეტის თანადაფინანსებით მოეწყო როგორც აღმინისტრაციული, ასევე, სტუდენტური საახალწლო საკარნავალო საღამო.

# ბრენინგი სწავლების თანამედროვე მეთოდება

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებით, 10 აპრილს, გაიმართა ტრენინგი აკადემიური და მონვეული პერსონალისათვის. ტრენინგს უძღვებოდნენ სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის ტრენინგები – ეკატერინე ნაცვლიშვილი და გვანცა აბდალაძე. ასევე, სტუმრად იმყოფებოდნენ ამავე უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ნათია შევილაძე და საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი შორენა პარუნაშვილი.

ტრენინგზე განხილული იქნა შემდეგი საკითხები: დავალებაზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, აღმოჩენაზე დაფუძნებული სწავლება და სასწავლო კონტრაქტი.

შეხვედრა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა მაკა ბერიძემ გახსნა. მან მადლობა მოახსენა სტუმრებს მომზადებისთვის და აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის შორის თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება. ტრენინგს, რომელიც იმართება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მოგესვენებათ, რომ უნივერსიტეტი ემზადება ავტორიზაციის პროცესისთვის, ამავე დროს, უნივერსიტეტი იაზრებს თავის მისიასა და სტრატეგიულ გეგმას. სტრატეგიული გეგმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი არის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მხარდაჭერი მექანიზმების დანერგვა უნივერსიტეტში. დღევანდელი შეხვედრა, სწორედ, მხარდაჭერი მექანიზმების ერთ-ერთი, რომელიც ემზადება აკადემიურ პერსონალს, გააცნოს, კიდევ ერთხელ შეახსენოს სტუდენტზე ორიენტაციული სწავლის მეთოდები. – აღნიშნა უნივერსიტეტის რექტორმა და დასძინა, რომ ეს არის Erasmus+ -ის ფარგლებში განხორციელებული პროექტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ტრენინგზე საუბარი იქნება ევროპული უნივერსიტეტების უახლეს გამოცდილებებზე.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა ტრენინგი ეკატერინე ნაცვლიშვილი: დღევანდელ დღეს ჩვენ საინტერესო საკითხებს წარმოვანჩენთ. გვინდა თანამედროვე სწავლების მეთოდებზე მოგანდოთ ინფორმაცია. ჩვენი უმთავრესი მიზანია, ვისაუბროთ ამ მეთოდების პრაქტიკაში გამოყენებაზე. ჩვენ ვინაშნობთ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მნიშვნელობასა და როლს არამხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბით. ამიტომ, დიდი სიამოვნებით დავთანხმდით შეერთებაზე, ჩაგვეტარებინა ტრენინგი ამ უნივერსიტეტში.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმა სულხან-საბა ორბელიანის საერთაშორისო ურთიერთობების განყოფილების უფროსი შორენა პარუნაშვილი: მიიღო ამაყად განაცხადო, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩემი უნივერსიტეტი. მე ამ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ვარ და მიხარია, რომ ამ საგანმანათლებლო კერასთან მაქვს თანამშრომლობის შესაძლებლობა. ჩვენ დაგეგმილი გვაქვს სამომავლო ურთიერთ-



ბაც. რაც შეეხება დღევანდელ ტრენინგს, Erasmus+ -ის პროექტის ფარგლებში ევროპული უნივერსიტეტების წარმომადგენლებმა გაგვიზიარეს საუკეთესო პრაქტიკა თანამედროვე სწავლების მეთოდების მიმართულებით. ეს ახალი ქართული სინამდვილისთვის. მიხარია, რომ გვაქვს შესაძლებლობა, თქვენ გაგიზიაროთ ეს გამოცდილება.

ტრენინგზე პრაქტიკული მაგალითების განხილვით მსმენე-



ლებმა მიიღეს ამომწურავი ინფორმაცია უმაღლეს განათლებაში კომპეტენციის, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და მნიშვნელობაზე.

შეხვედრის დასასრულს, პრესასთან კომენტარი გააკეთა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა თეა თათნაშვილმა: უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს მაღალი აკადემიური სტანდარტების პროგრამების შექმნას და განვითარებას, რომელთა მიზნე-

ბი რეალისტურია, მიღწევადი და ორიენტირებულია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისკენ. რა თქმა უნდა, სწავლა/სწავლების და შეფასების პროცესი არის სტუდენტზე ორიენტირებული, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ისეთი გზით მიწოდებას, რომელიც წახალისებს სტუდენტს, შეასრულოს აქტიური როლი სასწავლო პროცესის ჩამოყალიბებაში. სწორედ ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოლაპარაკების შედეგად მიიწვია სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის ტრენინგთა გუნდი და ფიქრობთ, საინტერესო ტრენინგი ჩატარდა.

უნდა აღინიშნოს, რომ Erasmus+ პროექტში – „სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება – მონივრულ რესურსები საქართველოსა და ჩინეთისთვის“, გამოცდილებაზე დაყრდნობით, შემუშავდა სახელმძღვანელო სწავლების თანამედროვე მეთოდებზე. სულხან-საბა ორბელიანის წარმომადგენლებმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აღნიშნული სახელმძღვანელოს ინგლისურენოვანი ვარიანტი გადასცეს. თეა თათნაშვილის განმარტებით, მალე უნივერსიტეტს ამ სახელმძღვანელოს ქართული ელექტრონული ვერსიაც მიეწოდება. მიიღო კიდევ ერთხელ მადლიერება და პატივისცემა დაფუძნებული სახელმძღვანელო-საბა ორბელიანის ტრენინგთა გუნდს და იმედს ვიტოვებ, რომ ეს არ არის ერთადერთი პროექტი, რომლის ფარგლებშიც ამ ორი უნივერსიტეტის თანამშრომლობა შედგა. – აღნიშნა დასასრულს ქალბატონმა თეამ.

ლიკა ზაზაშვილი





**ელენე დიდიმამიშვილი** – ცნობილი ქართველ პოეტისა და საზოგადო მოღვაწის დაბადებიდან ასი წელი შესრულდა. იგი იმ პოეტთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც სამწიგნობრო ასპარეზზე გამოსვლისთანავე მოიპოვეს მკითხველის ყურადღება, საზოგადოების სიყვარულითა და პატივისცემით იყვნენ გარემოწილი. სიცოცხლეშივე წილად ჰვდა დიდი აღიარება, მის ლექსებს ხალხი იმთავითვე სწავლობდა და მღეროდა...

ელენე დიდიმამიშვილი 1919 წლის 15 აპრილს ქალაქ ახალციხეში – რაბათში (ქალაქის ძველ ნაწილში) დაიბადა, ცნობილი განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის ზაქარია დიდიმამიშვილის ოჯახში. სრულიად პატარა გამოცდა ობლობის სიმწარე, სამი წლისაც არ იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა. 1927 წლიდან სწავლობდა ქალაქ ახალციხის №1 საშუალო სკოლაში. წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სკოლის სიმებიან ორკესტრს, იყო კლასის ხელნაწერი ლიტერატურული ჟურნალის „განთიადის“ რედაქტორი. 1937 წელს, სკოლის დამთავრების შემდეგ, დროებით მსახურობდა ქალაქის ბიბლიოთეკაში, იყო დაწყებითი სკოლის მასწავლებელიც. 1938 წელს ჩაირიცხა თსუ ფილოლოგიის ფაკულტეტზე – რუსულ სექტორზე. დიდი სამამულო ომის პერიოდში, მძიმე ოჯახური პირობების გამო, ერთი წლით იმყოფებოდა აკადემიურ შეზღუდვაში. დაბრუნდა მშობლიურ ქალაქში. იმ პერიოდში მუშაობდა გაზეთ „წითელი დროის“ – რედაქციაში პასუხისმგებელ მდივნად, შეთავსებით ასწავლიდა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ენასა და ლიტერატურას, ხოლო 1943 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში, იყო ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორი. მესხეთის თეატრშიც მუშაობდა მოკარნახედ. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ახალციხეში მშობლიურ სკოლაში, სასოფლო-სამეურნეო და ეკონომიკურ ტექნიკუმში. 1942-1946 წლებში აქტიურად მონაწილეობდა ქალაქის ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ატარებდა ლექციებს, ბეჭდავდა წერილებს...

1946 წელს, ელენე დიდიმამიშვილი დედასთან და დასთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა ქალაქ თბილისში და იმთავითვე დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება. თანამშრომლობდა როგორც საბავშვო, ისე ახალგაზრდულ ჟურნალ-გაზეთებში. 1948-1956 წლებში მუშაობდა გაზეთ „ნორჩ ლენინელი“ – ლიტმუშაკად, ხელმძღვანელობდა მხატვრულ ლიტერატურულ განყოფილებას. საბავშვო რედაქციებთან ჩამოაყალიბა და წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ნორჩ ლიტერატორთა

# ელენე დიდიმამიშვილი – 100

წრეს, რომელმაც ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოავლინა. მისი დახმარებით პირველი ნაბიჯები გადადგეს ცნობილმა ქართველმა პოეტებმა და პროზაიკოსებმა: შალვა ამონაშვილმა, ვახუშტი კოტეტიშვილმა, გივი ჭიჭინაძემ, გივი გვეგეკორმა, თამაზ ნატროშვილმა, ცირა ქიტიაშვილმა, ჟურნალისტ-ტებმა: გურამ გოგიაშვილმა, ხეთისო არჩემამიშვილმა და ასე შემდეგ.

ელენე დიდიმამიშვილი აქტიურად ჩაება თბილისის ლიტერატურულ წრეებში: გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციასთან არსებულ ახალგაზრდა მწერლებისა და მასწავლებლის სახლთან არსებულ ლიტერატურულ-შემოქმედებით წრეებში, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, რადიოკომიტეტში, მწერალთა კავშირში. იმავდროულად იყო ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის მუსიკალური და ფოლკლორის სექციების წევრი.

ლექსებისა და კორესპონდენციების ბეჭდვა 1942 წლიდან დაიწყო, ჯერ ახალციხის რაიონულ გაზეთში, შემდეგ კი სამხედრო-საოლქო გაზეთებში და რუსულენოვან ჟურნალ-გაზეთებში. სწორედ თბილისში გადასვლის შემდეგ დაიწყო მისი აქტიური პოეტური შემოქმედება. **„თბილისში გაიშვა ფრთები ჩემმა პოეზიამ. ამაში კი ჩემს დას – მარგალიტა დიდიმამიშვილს, მი-**

თბილისში ქალბატონი ელენე აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა. 1966 წელს, შოთა რუსთაველის 800 წლის იუბილესათვის, მესხეთის ხაზით, არჩეული იყო საიუბილეო კომისიის მდივნად. შოთა რუსთაველის შესახებ გამოაქვეყნა საინტერესო წერილები: „ვერ ვინმე მესხი მე-ლექსე“, „რუსთაველის საგაზრდილოში“ და სხვა. მას ეკუთვნის, აგრეთვე, ლიტერატურულ-დრამატული კომპოზიცია – „შოთა რუსთაველი“, რომელიც დაიდგა სახალხო თეატრებში. მან, საქართველოს მასშტაბით, რუსთაველის შესახებ შეკრიბა სახალხო მთქმელებისა და პოეტების ლექსები და ცალკე კრებულად გამოსცა. წლების მანძილზე იყო ხალხური შემოქმედების მუსიკალური სექციის წევრი და მრავალ მუსიკალურ გამოცემათა ლიტერატურული რედაქტორი.

მრავალმხრივ მოღვაწეობაში მთავარი იყო მისი ადგილი XX საუკუნის ქართულ პოეზიაში. ხუთი წლისას წარმოუთქვამს პირველი ლექსი, რომელიც მის უფროს დას ჩაუწერია. **„ლექსებს მეორე კლასიდან ვწერდი. პირველად მონყინილი ლექსები მქონდა. მასთვის, მეექვსე კლასელმა გოგონამ ასეთი ლექსი დაწერე: მე ერთი ვარ ქვეყანაზე, დავსწავლიდი, დანყველილი, მე სულ მარტო ვიარები და ყოველთვის მარტო ვივლი.“**

# „ოთხართი ცვლას: დიდს თუ პაცარას მამულის ცრთობა მიმცემს სხივად...“

**უძღვის წვლილი. ის მაქვს ზებდა და მაიმედებდა, მავალბდა, მიმეტანა ლექსები დასაბეჭდად ამა თუ იმ რედაქციაში.“** – წერდა პოეტი.

როგორც მისი ჩანაწერებიდან ირკვევა, პოეტურ სარბიელზე გამოსვლისთანავე დაიკვივდა ღირსეული ადგილი ქართულ პოეზიაში. იგი იგონებდა: **„1949 წელი იყო. ვერის პარკში ვიჯექი... გიორგი ნატროშვილი მოიხალხოვდა და მითხრა: „პოეზიაში დამდგარი ხმა გქონიათ“. მისი ერთი სიტყვა ჩემთვის მთელ სიცოცხლედ ღირდა. ე.ი. პოეზიაში თავი უკვე ნაპოვნი მქონდა და ეს უკვე ყველაფერი იყო ჩემთვის.“** დიას, სიკვდილამდე მისი ცხოვრების არსს პოეზია წარმოადგენდა. 1965 წლიდან იყო მწერალთა კავშირის წევრი. ამ დროისათვის გახლდათ ავტორი სამი კრებული: „ვარძიის გაზაფხული“, „სიყვარულის კვალდაკვალ“, „გვიხმობს კამაშა ზაფხული“. შემდგომ გამოცდა რვა კრებული: „გზები და წლები“, „ლექსები“, „ლორჯი სინათლეები“, „ცისკრის მელოდიები“, „მშობლიური ჩანაწერები“, „უკვდავ“, „იმედი ჩემი“, „ჩემი საგაზრდელის გზებით“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მისი ლექსები იმთავითვე შევიდა ახალგაზრდა მწერალთა ალმანახებში. იგი სამსახურს და პოეტურ შემოქმედებას უთავსებდა მთარგმნელობით საქმიანობასაც. ძირითადად, თარგმნიდა რუსულენოვან ლიტერატურას, როგორც პოეზიას, ისე პროზას. მას, დედაქალაქში გადასვლისთანავე მოუხდა იმ დროის ისეთ ცნობილ ადამიანებთან და პოეტებთან თანამშრომლობა და ურთიერთობა, როგორებიც იყვნენ: იოსებ იმედაშვილი და ნინო ნაკაშიძე, შემდგომ კი გალაქტიონ ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, გიორგი ლეონიძე, მარიჯანი და სხვები. მოგვიანებით მათ შესახებ ქართულ ჟურნალ-გაზეთებში გამოაქვეყნა წერილები და მოგონებები. მის არქივში ინახება საინტერესო მოგონებები XX საუკუნის ბევრ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეზე. ესენი არიან: გიორგი სალონიძე, ხუტა ბერუღავა, სანდრო მირიანაშვილი, ვალერიან მაღრაძე, ნუნუ გაბუნია, მიხეილ ჩირინაშვილი, რევაზ გაბიჩვაძე და სხვანი.

კეთილი გული აწერინებდა, ის გულე, ყოველთვის სიკეთის მთხველი რომ გახლდათ და სიკეთის ქმნით რომ მოძღვრავდა სხვასაც: **„დასჭირდა ის, – რაც შენს ხელთ არი – გაილე, გაილე, გაილე... ეგ გული სიკეთით შესძარი, ამ ქვეყნად სხვას ვერას ნაილე.“**

ალსანიშნავია ისიც, რომ ელენე დიდიმამიშვილის გულში ჩამწვდომი ლექსები იმთავითვე იქცა ცნობილი ქართველი კომპოზიტორების შემოქმედების მუხად. მის ლექსებზე შესანიშნავი მუსიკა შექმნეს კომპოზიტორებმა: შოთა მილორავამ, მერი დავითაშვილმა, ნუნუ გაბუნია, სანდრო მირიანაშვილმა, სულხან ნასიძემ, ბიძინა კვერცხელი და ა.შ. **„ქართველი კომპოზიტორების მიერ ჩემს ლექსებზე ორასზე მეტი მუსიკა დაწერილი“,** – წერდა პოეტი. აღსანიშნავია ისიც, რომ 1957 წელს საბჭოთა კავშირის მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილებამ და მოსკოვის კომპოზიტორთა კავშირმა გამოსცა მის ლექსებზე დაწერილი მუსიკალური ნაწარმოებების კრებულე: „ოთხი რომანსი“, „ქართული საიმპროვიზაციო საბავშვო მუსიკალური კრებულები: „გუმღერო ფესტივალს“, „ბედნიერების სიმღერები“, მუსიკალური სახელმძღვანელოები და სხვა. 1956 წელს, კომპოზიტორ რევაზ გაბიჩვაძის თხოვნით, მან დაწერა საოპერო ლიბრე-

ტი „ნანა“ – არბუზოვის პიესის „ტანისას“ თემაზე. ოპერა დაიდგა ვანო სარაჯიშვილის სახელობის თბილისის კონსერვატორიაში. ქალბატონ ელენეს უზომოდ უყვარდა მუსიკა. მან საკუთარ და ქართველ პოეტთა ლექსებზე შექმნა რამდენიმე მუსიკალური ნაწარმოები, რომელთა უბადლო შემსრულებელი თვითონვე იყო. **„მუსიკა შერწყმულია ჩემს არსებასთან, განურყველად თავისი ფანრისა. როგორც ცხოვრება ალსავსე მრავალფეროვნებით, ასევე მრავალფეროვნა ჩემი რჩეული**

სამკალის ადების დროს, ჟურნალ-გაზეთებმა, აგრეთვე, რადიო-ტელევიზიამ თბილად გამიხსენეს და აღნიშნეს ჩემი თარიღი.“ 1996 წელს ახალციხის ინტელიგენციამ, კულტურის განყოფილების ხელმძღვანელობით, დიდი სიყვარულით აღნიშნა მისი პოეტური მოღვაწეობის 70 წელი; მომზადდა სატელევიზიო გადაცემაც.

სიცოცხლის ბოლო წლებში პოეტმა მშობლიურ ქალაქში გაატარა, სადაც არ დაკლებია საზოგადოების ყურადღება და პატივისცემა. ქალაქის ბიბლიოთეკაში უყვარდა ყოფნა. ბიბლიოთეკის გამგემ – ქალბატონმა მარგო კალაიჯიშვილმა და კოლექტივმა მისადმი უდიდესი სიბოძო და ყურადღება გამოიჩინეს – გამოუყვეს ერთი მყუდრო კუთხე, სადაც დალაგებული ჰქონდა თავისი წიგნები, ხელნაწერები და მუყაითად მუშაობდა, ძირითადად, მოგონებებზე... ქალბატონი ელენე ბოლომდე საღი გონებით იყო, ბიბლიოთეკაში სიარული არ შეუწყვეტია. თუმცა, გრძობდა აღსასრულის მოახლოებას, სიკვდილის წინ მშობლებისა და და-ძმის მონაწილედ მოეცა... სულიერად, მართლაც, უჭირდა პოეტს. გული უგრძობდა გაზაფხულს რომ ვეღარ შეხვდებოდა: **„გული მიგრძობს, რომ ეს წელი ბოლო წელია ჩემთვის... გაზაფხულს ვეღარ დავესწრები.“** მას სიამოვნებდა, რომ გაზაფხულზე იყო მისი დაბადების დღე. უხაროდა, რომ 15 აპრილს სიყვარულის დღეობა დაიკვივდა. აუხუნა ნინათგრძობა ქალბატონ ელენეს, იგი 1997 წლის 27 მარტს გარდაიცვალა, სამუდამო განსასვენებელი მშობლების გვერდით, რაბათის სასაფლაოზე, ჰპოვა. მთელი ცხოვრება სიცოცხლის მშობელი ხალხის, მესხეთის სიყვარულში ჩაიფერვლა. ამიტომ წერდა:

**„უთხარით ყველას: დიდს თუ პატარას მამულის ტრფობა მიმცემს სხივად...“**

ელენე დიდიმამიშვილის გარდაცვალების შემდეგ არ შენელებულა მისადმი საზოგადოების ყურადღება, რაც იმამდე გამოიხატა, რომ ქალაქის მერის – შოთა ნასყიდაშვილის, სპეციალური ბრძანების საფუძველზე (2001 წლის 19 აპრილი) შესდგა კომისია ხუთი კაცის შემადგენლობით: ნატო ყრუაშვილი – კომისიის თავმჯდომარე, ნევერები: შაქრო (ზაქარია) დიდიმამიშვილი, კონსტანტინე გვიშიანი, ლილი არქილავა და დარეჯან მარტინეცი. კომისიის მიერ აღიწერა და დამუშავდა ქალაქ ახალციხის ბიბლიოთეკაში დროებით არსებული პოეტის ფონდ-არქივი. მასალის ძირითადი ნაწილი გადაეცა სამცხე-ჯავახეთის ისტორიულ მუზეუმს, ნაწილი მის კანონმდებელს – შაქრო დიდიმამიშვილს და მცირედი ნაწილი ქალაქის ცენტრალურ ბიბლიოთეკას. ამასთანავე, ისევე მუზეუმის დირექციის წინადადებით და ქალაქ ახალციხის გამგეობის ხელშეწყობით, 2000 წლის გაზაფხულზე ელენე და ზაქარია დიდიმამიშვილების სახლის ფასადზე დამაგრდა მემორიალური დაფა. 2007 წელს გამოცა ლექსების კრებული „გადასახედი“, რომელშიც ძირითადად ქალბატონ ელენეს სიცოცხლის ბოლო წლების პოეზია შევიდა. უნდა აღინიშნოს, რომ ელენე დიდიმამიშვილი, ასევე, არის ავტორი შესანიშნავი ნოველებისა, რაც 2011 წელს ცალკე კრებულად გამოცა სახელწოდებით „გზა ვრცელი“. 2017 წელს, პოეტის გარდაცვალებიდან ოცი წლისთავის აღსანიშნავად, მომზადდა და გამოცა პოეტის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველი ვრცელი მონოგრაფია.

პოეტის ოცნება იყო ლექსების სრული კრებულის გამოცემა, მან სიცოცხლეშივე მოამზადა თავისი ლექსების რჩეული კრებული – „სუნთქვა პოეტის“, რომლის გამოცემაც იგეგმება პოეტის დაბადებიდან ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით.

## ნატო ყრუაშვილი სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის უფროსი მაცნებრთაანამშრომელი, ასოცირებული პროფესორი

სამუშაოროდ, ეს იყო პოეტის საშინელი წინათგრძობა, მან მთელი ცხოვრება მარტოსულმა იცხოვრა... თავის ერთ-ერთ წერილში პოეტი წერდა: **„ჩემი პოეზია მხოლოდ ლირიკაა – სულერთია, რა თემასაც უნდა ეხებოდეს იგი. საკმაოდ დიდი ადგილი მაქვს დათმობილი სატრფიალო ღირსეულს, რომელიც მუდამ სადღაც იმედით სჭვავის, იმედით ჩემი თანდაყოლილი სუფთა... თუ შეიძლება ითქვას, მთელი ჩემი ცხოვრება პოეზიაა, ურთულესი, უსასტიკესი და მაინც ქრისტესაგან მონიჭებული მადლი...“**



ელენე დიდიმამიშვილი, იოსებ გრიშაშვილი

**ლირიკამ მაცოცხლა პოეზიაში, ლირიკამ გამატარა ცხოვრების ეკლანი ვრცელი აღმართები.“**

პოეტის ერთ-ერთი ლირიკული გმირი მესხეთი იყო. მან ლექსების ერთი მესამედი მესხეთს მიუძღვნა. ჩვენი ერთ-ერთი შეხვედრის დროს პოეტმა მორიდებით აღნიშნა: **„პოეტურ ასპარეზზე ჩემი გამოსვლის შემდეგ ბევრმა შეწყვიტა მესხეთზე ლექსების წერა – ეს იმიტომ, რომ მე მართლაც კარგი ლექსები მქონდა...“** ქვემარტად. მესხეთზე ლექსებს მას მშობლიური კუთხის დიდი სიყვარული და

მუსიკალური ნაწარმოებები, სულ ერთი იქნება, რომანტიკაა, ლირიკა თუ დრამატიკა... და კიდევ, სიცოცხლის ბოლო დღეებშიც კი არ მოუშორებია ქალბატონ ელენეს თავისი საყვარელი გიტარა. ელენე დიდიმამიშვილს, როგორც პოეტს, ქართველმა საზოგადოებამ სიცოცხლეშივე მიაგო პატივი. 1990 წელს აღინიშნა მისი დაბადებიდან 70 წლის იუბილე. ამასთან დაკავშირებით პოეტი წერდა: **„პირადი მილოცვები მთელ წელიწადს გრძელდებოდა... ჩემს საიუბილეო წელს, ჩემი მოსავლის**



\* \* \*

მე უფრო მიყვარს შენი ზეცა,  
 შენი სერები,  
 კვლავ რიდით ვუმზერ სიდიადეს  
 უმაღლეს მთათა...  
 მოღლილი გზებით  
 შენს ალვებქვეშ შევისვენებდი,  
 დავითენებდი განთიადს მათთან.  
 მე ისევ ვუხმობ შენს ღიღილოს,  
 უკვდავას, სოსანს,  
 ჩემგან უწყალოდ მიტოვებულთ,  
 დაღვრემით მზირალოთ,  
 სადაც ტალღებიც მდინარეთა  
 უძრავად მოსჩანს  
 და აკაცებებს მოწყენით სძინავთ...  
 მე უფრო მატკობს შენი დარი,  
 შენი ღრუბელიც...  
 სურვილით შენით, შენს ავდარსაც  
 შევირიგებდი...  
 დასაბამიდან დამყვა სული,  
 მარად ურღვევი  
 და ასე მფერვლავს სიყვარული  
 შენი დიდების...

\* \* \*

შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან,  
 როს შემოდგომის იდგა მიმწუხრი,  
 უსმენდი ავდრით მოვლენილ დღეთა,  
 უსმენდი ჩუმად იმ ქარს, იმ წუხილს...  
 როს ქარიშხალმა ქმენით და რისხვით  
 დაღუნა ნაზი რტოები ხეთა  
 და როცა ბალი შეღება ნისლით –  
 შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან...  
 რალაც შორეულ საყვედურმა შეგიპყრო  
 ჩუმად...  
 გაოცებული გიმზერდი მდუმარს...  
 შემოდგომდა ზამთარი სუსხით... მკაცრი  
 და ვრცელი...  
 როს არვის უცდი...  
 როს არვის ელი...  
 შენ მხოლოდ მაშინ მოხვედი ჩემთან.

\* \* \*

ისე ხანმოკლეა სტუმრობა ჩვენი –  
 მაცდურ მინაზე,  
 დრო გვერეკება, დრო წინ გვიტაცებს...  
 უნდა მოასწრო დიდ შარაზე  
 ბევრი თუ ვერა –  
 სულ უმცირესი პატრუქი მაინც  
 დატოვო წრფელად, –  
 რომ მომავალმა  
 მოყვასმა შენმა შენიშნოს იგი,  
 და მიუჩინოს ადგილი რიდით...  
 ისე ხანმოკლეა სტუმრობა ჩვენი  
 მაცდურ მინაზე...

\* \* \*

შენ ისე შორს ხარ, ძახილი ჩემი  
 ვერ აღწევს შენთან...  
 წინ ვერ დაგხვდება ჩემეულ დღეთა  
 სიმღერა მწველი...  
 მე მესმის შენი ნაბიჯიც, სუნთქვაც...  
 ჩამქრალი გული, სიმრავლე წელთა...  
 მე ვხედავ თვალებს, ბობოქარ სულთან,  
 სიამეთ ჩემთა...  
 გიხმობ გადამქრალს  
 (და მაინც მზისფერს)...  
 მათროლოებს სიზმრის ობოლი კვნესა...  
 მე გიხმობ ძლიერს, მე გიხმობ ისეთს,  
 როგორიც იყავ... როგორიც დღეს ხარ...  
 ქარი-ავქარი სუსხავს ია-ვარდს,  
 და ისევ ფიქრთან ვრჩები მოღლილი...  
 ... მთების უსაზღვრო ლოდინს მიაგავს –  
 ჩემი ლოდინი...

\* \* \*

შემოდგომაზე მე მინატრია  
 ქარვისფერ დღეთა მყუდრო ფერებით,  
 ცისფერი ზეცა – ჩემი ნათლია,  
 და განაბული ოქროს ველები...  
 იქ, სადაც ფოთოლს ვერ არხევს სიო  
 და სთვლემს ღიღილო ლურჯი თვალებით...  
 სად ჩემი მთების ზურმუხტს თუ ხრიოკს  
 ჰფარავს სიჩუმე იდუმალების...  
 თუ შემოდგომის მწვავდა გრიგალი,  
 მსუსხავდა თქუმი ქარიშხლიანი, –  
 ოცნება მუდამ მქონდა მდიდარი  
 და გულში შენით დარი მზიანი...  
 მე იმ ლაყვარდის თან მდევს ზმანება –  
 მყუდრო ფერებით...  
 და ბრწყინვალეობა  
 ოქროს ველების...

\* \* \*

### მიხეილ თამარაშვილის წიგნზე მინანერი

ვით აზიდე ტვირთი ასე მძიმე,  
 გარს აფრქვევდი ნუგეშსა და იმედს,  
 მოუღლეელი ვით რაინდი ლალი,  
 იდექ მარად, ზეცის მაღალ თალით...  
 გახსოვს, შენი სანმარინოს წყლები,  
 უანგარო, დიდი შრომის წლები...  
 შენი გარჯის მტკაველი თუ ადლი  
 ეძიებდა მარად წმინდა ადგილს...  
 დედამინით მიმოჰფინე ჰანგი –  
 საქართველოს დიდების და მადლის!  
 ... მაინც ახდა დიდი ნატვრა ერის –  
 მოგვეახლა ისევ ერის ხელით,  
 მოსვლა შენი, ზარ-ზეიმად იქცა –  
 გულს ჩავიკრა საქართველოს მიწამ!

### საქართველო

გზაზე მინათებენ დედის ნათელივით  
 მუდამ იდუმალი უცხო შთაგონებით –  
 დიდი ფიროსმანის ყალბით დაწერილი  
 ჩემი მზე და მინა, ჩემი მთა-გორები...  
 მრავლით დარბეული, მრავლით  
 ალდგენილი  
 მარად ბრძენთა ბრძენი, მარად გამართა  
 გმირი,  
 უხვი, მადლიანი, შრომით აღვლენილი...  
 სულით უმტკიცესი, გულით  
 პირდაპირი...  
 მწვავდა ჩემი ზეცა მუდამ ლურჯთვალეობა,  
 რალაც სიდიადით, რალაც თილისმებით...  
 ლოცვით მინატრია მისი უკვდავება,  
 ლოცვით მომივლია მისი დიდი გზები...  
 მთათა ორნოსები მხედრებს ედრებიან...  
 მათმა მოგონებამ ღამე დამათენოს...  
 უცხო ნალკოტია, უცხო ედემია,  
 ჩემი ერთი მუჭა – დიდი საქართველო!..

\* \* \*

მე ვიგონებდი ადრეულ დღეთა  
 ცისფერ ყვავილებს, სათუთგულიანს,  
 მე შენს თვალებში ვხედავდი ზეცას,  
 შენ კი ამბობდი – პოეტურია...  
 ვერ დავიოკე ჩემი ტკივილი, –  
 ვთქვი – მარად შენი მზერა მწყურია.  
 შენ გაიღიმე ჩვეულ ღამილით  
 და ისევ მითხარ – პოეტურია!

\* \* \*

ადრეულ ფერთა მიმატოვეს  
 ზამთრის ბურუსით,  
 ო, ჩემ სულიერ სიმარტოვეს  
 არა აქვს ზღვარი...  
 გაყინულ მთვარეს აღარ ძალუძს  
 შუქი გულუხვი,  
 ნელა შემოდის სიჩუმე ღამის...  
 გადამხმარ ხეებს  
 თეთრი ქურქი ჩაუცვამთ ჩუმად...  
 და მთებიც სდუმან...  
 ადრეულ ფერთა მიმატოვეს  
 ზამთრის ბურუსით...

\* \* \*

ჩემი ცხოვრების რედაქტორი  
 ყოველდღიურად ბეჭდავს ჩემს გაზეთს  
 და თითქოს ამცნობს კიდი-კიდე,  
 შორეთს მიუვალს –  
 რა ურვაც ვზიდე,  
 რაც გულზე მანევს...  
 დაბეჭდილია მცირე ღიმი,  
 ობოლი სიყრმის... და ფერშეცვლილი  
 ლაყვარდების გაელვარება...  
 დაბეჭდილია მოვარდნილი  
 გრიგალის რისხვით ჩემი წვალება...  
 ჩემი ცხოვრების რედაქტორი  
 ბეჭდავს ჩემს სუნთქვას –  
 ხშირად მწუხარებს, დაუდგრომელს,  
 მზიან-ჩრდილიანს...  
 (მას საქმე თვისი  
 ხიბლავს და უყვარს, –  
 და მის ხმას სულში  
 სხვა მზის სხივი აქვს).  
 ჩემი ცხოვრების რედაქტორი  
 მკაცრია ძლიერ,  
 ვუმზერ დაღლილი, მსურს მაკმაროს  
 უღელი მძიმე...

### ელენე ფიფიამიშვილი



ნუ შემიმცირებს  
 ღიმილს და იმედს,  
 დე, სიხარულიც დაბეჭდოს მცირე...  
 ო, მონყალო ხელმწიფეო,  
 მოილე მადლი, –  
 ნუ შეამოკლებ სიცოცხლეს ჩემსას...  
 გაილე სრულად, გვედრი, ვით ბავშვი –  
 მე შენს გარემუ ნაფოტი ვარ –  
 მღელვარე ზღვაში...  
 ჩემი ცხოვრების რედაქტორი  
 მკაცრია ძლიერ...  
 და მაინც ... მაინც,  
 მიგ ზავნის იმედს...

\* \* \*

გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა  
 უმეტეს ამის...  
 გახსოვარ... – ეს ხომ სიმღერაა  
 უვნებელ ღამის, –  
 რომ დამაძინოს უშფოთველი,  
 მსუბუქი ძილით,  
 რომ ამ სიზმარმა უტკბილესი  
 მაჩუქოს ღიმი...  
 გახსოვარ... განა გული ისევ  
 ცახცახებს რიდით?  
 ახლა შუადღის მზით დამცხრალი  
 მშვიდია იგი.  
 უფრო ნაზია, ვიდრე ფეთქვა  
 ადრეულ დღეთა,  
 და უფრო ღრმა სიყვარული  
 უნახეს ფერთა...  
 გახსოვარ... მე სხვა რა მინდოდა,  
 უმეტეს ამის...

\* \* \*

შენ ისე შორს ხარ, ძახილი ჩემი  
 ვერ აღწევს შენთან...  
 წინ ვერ დაგხვდება ჩემეულ დღეთა  
 სიმღერა მწველი...  
 მე მესმის შენი ნაბიჯიც, სუნთქვაც...  
 ჩამქრალი გული, სიმრავლე წელთა...  
 მე ვხედავ თვალებს, ბობოქარ სულთან,  
 სიამეთ ჩემთა...  
 გიხმობ გადამქრალს (და მაინც  
 მზისფერს)...  
 მათროლოებს სიზმრის ობოლი კვნესა...  
 მე გიხმობ ძლიერს, მე გიხმობ ისეთს,  
 როგორიც იყავ, როგორიც დღეს ხარ...  
 ქარი-ავქარი სუსხავს ია-ვარდს,  
 და ისევ ფიქრთან ვრჩები მოღლილი...  
 ... მთების უსაზღვრო ლოდინს მიაგავს –  
 ჩემი ლოდინი.

\* \* \*

მოვდივარ შენთან... სურვილი ჩემი,  
 წმინდაა ისე, ვით სუნთქვა დილის...  
 შენ ჩემთვის ისევ მარადი რჩები  
 და საგზლად მომაქვს სიცოცხლის სხივი...  
 თუ თვალმა ისევ მზისებრ იელვა  
 (ოდესლაც შენთვის ცრემლებს რომ  
 ღვრიდა),

შენ აღმადგინე ისე ძლიერად,  
 რომ მე ათასი სიცოცხლე მინდა!..  
 მოვდივარ შენთან სურვილით ჩემით  
 და ჩემთვის ისევ მარადი რჩები...

\* \* \*

მე მქონდა რთული სიყვარული  
 განუზომელი...  
 და მისი უცხო სიდიადე,  
 უღვეველ ფერთა...  
 მქონდა ტკივილი ჩემი, წრფელი,  
 დაუცხრომელი.  
 ამირჩევია გმირი ჩემი  
 უძლეველ კერპად...  
 ... მან არ იცოდა, გული ჩემი  
 გრძობის თარეში  
 მიმაქროლებდა ბედი მწველი  
 მიუვალ გზებით...  
 არ მიცხოვრია ერთი წუთიც,  
 მწველი ოცნების, ტრფობის გარეშე, –  
 ისე გავლიე ლოდინი წლების.

არ მითხოვია არცა ხსნა და არცა შველა,  
 რაც არის წერა –  
 იგია ბოლო...  
 და ვიტყვი მაინც –  
 სიყვარული არ ძალუძს ყველას,  
 სიყვარული ნიჭია მხოლოდ...

\* \* \*

შენი ბარათი, ფრთხილი და სათუთი,  
 სანერ მაგიდაზე დევს,  
 შენი ბარათი, თბილი და სათუთი,  
 კაშკაშებს, ვითა მზე.  
 შიგ მზისფერ ფოთოლს  
 და უკვდავას მცირეს  
 გაუხარიათ კვლავ...  
 მე ვუმზერ ისე, ვით შორეულ იმედს,  
 ვისმენ შორეულ ხმას;  
 მე ვისმენ ზღაპარს, ოდესლაც მოყოლილს,  
 ვხედავ რიჟრაჟის ფერს...  
 რალაცას ჩურჩულებს მზისფერი ფოთოლი,  
 რალაც საოცრად ჟღერს.  
 ხომ არ მოუხმობს, იმ წლების მიღმით,  
 იმავე მთასა და ბარს?!  
 ხომ არ დალაღა გოგონა ძებნამ,  
 ხომ არ გასტყება გზამ?!  
 ხომ არ იგულა შორეულ მძევლად?  
 რისთვის აცრემლდა ცა?!..  
 გოგონა, უკვე ჭალარა, დაღლილი,  
 სწვდება სათვალეს და...  
 იმ მზიან-ჩრდილიან ფიქრებად  
 დაღვრილი –  
 მზის ფოთოლს დაჰყურებს კვლავ.

\* \* \*

მე მივატოვე ხეივანები და პროსპექტები...  
 მე მივატოვე მოედნები, სასახლეები,  
 არა უეცარ გაფიქრებით, არა  
 შემთხვევით...  
 გავყევი შარას სიძნელეთა  
 ათასფერებით...  
 მოღლილი მუხლით მივაშურე სიყრმის  
 ნაკვალევს,  
 არ შემხვედრია ჩემი ზეცა  
 გაბრწყინვალეებით...  
 ნიავის ნაცვლად შმაგი ქარი სუსხით  
 კანკალებს,  
 სთვლემენ ჩიტები... მოღლილია მათი  
 თვალები...  
 ღია კარებში გაშლილ ხელით არ დამხვდა  
 დედა  
 და არ მამხნევეს იმედებით მამის  
 ზმანება...  
 მე ახლა მხოლოდ მათ მდუმარე  
 საფლავებს ვხედავ...  
 მათ ცეცხლს მათი იდუმალი გასიზმარება...  
 მზისფერ ყვავილებს მიუპყრიათ მზისკენ  
 ფოთლები  
 (მათი ცრემლები ამ ქვის ლოდებს  
 ემასხვრებათ)  
 დგანან ბორცვები, მარადიულ  
 ცისფერ ოცნებით...  
 დრო ჩუმად მიდის და ხმაურობს  
 მხოლოდ ცხოვრება...

\* \* \*

აქ ყოველივე ისევე ისეა  
 თეთრი ღრუბელი ელავს ვერცხლივით...  
 ისევ მთებია, ისევ სივრცეა...  
 მე ვარ შეცვლილი... მე ვარ შეცვლილი...  
 კვლავ მისცემია მიდამო დუმილს –  
 და წელიწადებს ითვლიან ისევ...  
 ყოველი კენჭი, თუ მყუდრო გზები  
 ნაირფერ ფიქრით ივსება ისევ...  
 იდუმალ გზებით!  
 აქ ყოველივე ისევე ისეა...  
 თეთრი ღრუბლები ელავს ვერცხლივით,  
 იგივე მთებია, იგივე სივრცეა...  
 მხოლოდ და მხოლოდ  
 მე ვარ შეცვლილი...



**აბიტურიენტებში, ძალიან ახლოს ხართ თქვენი ოცნების ასრულებასთან. ჩვენც ახლოს ვართ თქვენთან, როგორც სტუდენტებთან, შეხვედრის სიხარულთან.** – ეს სიტყვები სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ** 28 მარტს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აბიტურიენტთათვის გამართულ „ღია კარის დღეზე“ წარმოთქვა.

პავლე ზაზაძის სახელობის საკონფერენციო დარბაზში მობრძანებულ რეგიონის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მშობლებს, უნივერსიტეტში არსებული სიახლეების შესახებ უნივერსიტეტის რექტორი ესაუბრა. ქალბატონმა მაკამ მოახლოებულ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე გამახვილდა ყურადღება და აბიტურიენტებს უთხრა, რომ ეროვნული გამოცდების ნახევარი ცოდნაა, ნახევარი კი – ფსიქოლოგიური მზაობა.

**მთავარია, ფსიქოლოგიურად განეწყობა წარმატებისკენ, მთავარია, თავად იყო მზად იმისთვის, რომ თქვენ ოთხივე გამოცდას წარმატებულად დაძლეოთ.**

ერთ-ერთ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ აბიტურიენტები სამცხე-ჯავახეთიდან და რაჭიდან არიან გამორჩეულები. თქვენ ძა-

გოლი. ყველა მათგანში ნახსენები იყო ხარისხიანი განათლება, ამიტომ ამ ნაწილში ყველა მათგანმა ქულა მიიღო. მათში აღნიშნული იყო პროფესორისადმი ნდობა, უცხოეთის გაცვლითი პროგრამები, ასევე, საზგასმა, რომ ეს ჩვენს რეგიონში არსებული უნივერსიტეტია და ჩვენი რეგიონის განვითარებას ემსახურება. რექტორმა მაღლობა გადაუხადა აბიტურიენტებს ასეთი საინტერესო გზავნილისთვის.

„ღია კარის დღეზე“ ნაჩვენები იყო გამარჯვებულ ვიდეორგოლების კოლაჟი. კონკურსში გამარჯვებულ აბიტურიენტებს

ხურისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები წარუდგინა.

აბიტურიენტებს მიმართეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა **მირზა ბურძინიძემ** და ვიცეპრეზიდენტმა **კახა მჭედლიძემ**.

**ბედნიერი, ვარ რადგან ამდენ აბიტურიენტს ვხედავ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი მიზანია, ლექცია-სემინარების შემდეგ მივიღოთ ის არაფორმალური განათლება, რაც აუცილებელია მეტად განვითარებისთვის. ასევე, არის ლაშქრობები და სხვა სპორ-**

**მოვედი. ამ გადანყვეტილებას ერთი წუთითაც არ ვნანობ. აქ უფრო მეტი შესაძლებლობებია ნიჭისა და თავის წარმოჩინების, ვიდრე დიდ უნივერსიტეტებში. როდესაც გახდებით სტუდენტები, ჩვენ ყველა ერთად, ერთობლივი ძალისხმევით, მივალწევთ სასურველ შედეგს.** – მიმართა აბიტურიენტებს კახა მჭედლიძემ.

„ღია კარის დღეზე“ უნივერსიტეტის რექტორმა რამდენიმე სიახლე დააანონსა. აღნიშნა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ექნება ვეტერინარიის სამაგისტრო პროგრამა, ჯავახეთში კი პროფესიული კოლეჯი გაიხსნება.

აბიტურიენტებს მიმართა ინჟინერიის, აგარარულ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელმა ასოცირებულმა პროფესორმა **ლერი ნოზაძემ**: **მაქვს პატივი, ამ ახალგაზრდებს მივსალამო და გზა დავულოცო. წელს ჩვენმა უნივერსიტეტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ რეგიონის ახალგაზრდებისთვის შეექმნათ უნიკალური პირობები აბიტურიენტთა მოსამზადებელი ცენტრის სახით. სტუდენტობას ცოტა დრო გამოვრებთ. გისურვებთ წარმატებებს.**

შეხვედრის ბოლოს, უნივერსიტეტის რექტორმა მაღლობა მოახსენა პედაგოგებს მობრძანებისთვის და მათ აღუთქვა უნივერსიტეტის გვერდშიდგომა კონფერენციების გამართვითა თუ სამეცნიერო ჟურნალში სტატიების დაბეჭდვის თვალსაზრისით. ქალბატონმა მაკამ კიდევ ერთხელ უსურვა აბიტურიენტებს წარმატებები და მომავალ შეხვედრაში დაემშვიდობა.

**ლიკა ზაზაშვილი**

**ღია კარის დღე**

**შეხვედრა „გამოჩნეულ“ ახალგაზრდობთან**

**ღია კარის დღე** უნივერსიტეტში აბიტურიენტებისთვის გამართულ „ღია კარის დღეზე“ ნაჩვენები იყო გამარჯვებულ ვიდეორგოლების კოლაჟი. კონკურსში გამარჯვებულ აბიტურიენტებს ხურისა და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლები წარუდგინა. აბიტურიენტებს მიმართეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტმა მირზა ბურძინიძემ და ვიცეპრეზიდენტმა კახა მჭედლიძემ. ბედნიერი, ვარ რადგან ამდენ აბიტურიენტს ვხედავ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში. სტუდენტური თვითმმართველობის მთავარი მიზანია, ლექცია-სემინარების შემდეგ მივიღოთ ის არაფორმალური განათლება, რაც აუცილებელია მეტად განვითარებისთვის. ასევე, არის ლაშქრობები და სხვა სპორ-



უნივერსიტეტის რექტორმა სიტყვები გადასცა.

ქალბატონმა მაკამ აბიტურიენტებს გააცნო ის სამსახურები, რომლებიც განსაკუთრებით აქტიურად არიან ჩართულნი სტუდენტთა მომსახურებაში. მან აბიტურიენტებს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსა-

ტული თუ კულტურული ღონისძიებები, შემეცნებითი თუ ინტელექტუალური თამაშები. ჩვენ თქვენ გელოდებით. – მიმართა სტუდენტებს მირზა ბურძინიძემ. მე ერთი წელი ვისწავლე ილიას უნივერსიტეტში და სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში მობილობით გად-



**15 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში **დედაენის დღე** აღინიშნა.

37 წლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს, საქართველოს მოსახლეობამ, სტუდენტებმა, ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, კონსტიტუციაში სახელმწიფო ენის შესახებ ჩანაწერის ცვლილების წინააღმდეგ თბილისში მასობრივი გამოსვლა მოაწყო და წინ აღუდგა საბჭოთა კავშირის გადანყვეტილებას, საქართველოში ქართული ენის, სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ. ამ თარიღთან დაკავშირებით, ტრადიციულად, ყოველ წელს, სხვადასხვა ღონისძიება ეწყობა.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო ფონდში არსებული უნიკალური წიგნების გამოფენა, რომლებშიც წარმოდგენილი იყო სამივე ქართული ანბანის საისტორიო, ილუსტრირებული მასალები, ხელნაწერები და დედაენისადმი მიძღვნილი სხვა ლიტერატურა. სტუდენტებისათვის დაიბეჭდა სპეციალური საცნობარო მასალა, რომელშიც მოკლე ინფორმაცია იყო გადმოცემული, თუ რატომ აღინიშნება დედაენის დღე 14 აპრილს. გამოფენამ დამთვაირებულეების დიდი მოწონება დაიმსახურა.

**ინფორმაცია**



**17 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამის, ქართული ლიტერატურის მიმართულების დოქტორანტის **იოსებ გიქიშვილის** სადისერტაციო ნაშ-

რომის – **„გიორგი შატბერაშვილის შემოქმედების პრობლემატიკა“** – დაცვა. თემის ხელმძღვანელი გახლდათ ასოცირებული პროფესორი **ვანტანგ ინაური**, რეცენზენტები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **ნესტან სულავა**, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი **როსტომ ჩხეიძე**, ხოლო დარგობრივი კოლეგია შემდეგი შემადგენლობით იყო წარმოდგენილი: თავმჯდომარე – ფილოლოგიის დოქტორი **ივანე ამირხანაშვილი**, ნევრები: ფილოლოგიის დოქტორი **ზოია ცხადაია**, ასოცირებული პროფესორები – **ქეთევან გრძელიშვილი**, **დალი ბეთხოშვილი**, **მდივანი** – ასოცირე-

ბული პროფესორი **მაყვალა დავითაძე**.

სხდომა გახსნა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ**. დოქტორანტმა წარადგინა სადისერტაციო ნაშრომი და რეცენზენტების გამოსვლის შემდეგ დასაბუთებულად გასცა პასუხი ყველა კითხვას.

სადისერტაციო საბჭომ იოსებ გიქიშვილის ნაშრომს მისცა შეფასება – „ძალიან კარგი“.

დოქტორანტს თემის წარმატებით დაცვა მიულოცეს და საკუთარი მოსაზრებები გამოთქვეს უნივერსიტეტის რექტორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **მაკა ბერიძემ**, პროფესორმა **ურია ბლუაშვილმა**, ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორმა **ნოდარ მერაბიშვილმა**.

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეს იყო რიგით მესამე სადისერტაციო ნაშრომის დაცვა.



**უნივერსიტეტის facebook-ის გვერდიდან**



# 1978 წლის 14 აპრილი

## ურა გლუაშვილი პროფესორი

1978 წლის 14 აპრილს ქართველი სტუდენტობა, პატრიოტულად განწყობილი თავიანთი პროფესორების ფარული მხარდაჭერითა და ნაქეზებითაც კი, ახალ კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის დასაცავად ქუჩაში გამოვიდა. სტუდენტურმა დემონსტრაციამ, კონსტიტუციის პროექტის განხილვის დროს, პრაქტიკულად, ქვეყნის ყველა ორგანიზაცია-დანესებულების მიერ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების კატეგორიულმა მოთხოვნამ, კიდევ ერთხელ ნათლად წარმოაჩინა ქართველი ხალხის მაღალი ეროვნული თვითშეფასება. ქართველმა ახალგაზრდებმა მაშინ ეროვნული იდეალებისადმი თავიანთი ერთგულება საქმით დაამტკიცეს. საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის მთელ მანძილზე ეს იყო პირველი პრეცედენტი, როდესაც ხელისუფლებამ ვერ გაბედა იარაღით დაპირისპირებოდა დემონსტრანტებს. ამ თვალსაზრისით, ქართველი სტუდენტების ეს გამარჯვება შეიძლება საბჭოთა ხელისუფლების კუბოში ჩაჭედებულ პირველ ლურსმნადაც მივიჩნიოთ. 14 აპრილმა გაამარჯვების რწმენა ჩაუნერგა არა მხოლოდ ქართველ ხალხს, არამედ საბჭოთა კავშირში მებრძოლ სხვა ხალხებსაც. მან ცხადყო, რომ ახლოვდებოდა საბჭოთა იმპერიის დასასრული.



ამასთან, ქართულ სამეცნიერო, განსაკუთრებით კი პუბლიცისტურ ლიტერატურაში ადგილი აქვს 1978 წლის 14 აპრილის მოვლენების არასწორ შეფასებას, რის შედეგადაც საზოგადოებაში დამკვიდრებულია სტერეოტიპი, თითქოს 1978 წელს საბჭოთა ხელმძღვანელობის განზრახული ჰქონდა ქართველი ხალხისთვის მშობლიური ენის წართმევა, და რომ „სტუდენტობამ თავგანწირვის ფასად შეძლო ენის შენარჩუნება“.

ამცირებდა თუ არა, კონსტიტუციური აზრით, ქართული ენის მნიშვნელობას მისი სახელმწიფო სტატუსის გაუქმება? ცხადია, ამცირებდა. მაგრამ თუ ჩვენ ასე დავხედავთ კითხვას: შეზღუდვად თუ არა რეალურად ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება ქართველებისთვის მისი გამოყენების შესაძლებლობას? მაშინ ამ კითხვას უპასუხი უარყოფითი იქნება.

საქმე ისაა, რომ 1978 წელს დახვეწილი ენის სტატუსი საბჭოთა კავშირში გააჩნდა მხოლოდ ქართულ ენას. იმის გასარკვევად, თუ რაოდენ იქნა დამუშავებული ქართული ენისთვის ასეთი გამოწვევის, მცირეოდენ ისტორიულ ექსკურსს მივმართოთ.

ჯერ კიდევ 1903 წელს ლენინის მიერ დანერგული და რსდმპ-მორე ყრილობაზე მიღებულ პარტიის პირველ პროგრამაში ეროვნულ საკითხზე ორი განმარტებული პუნქტი დაფიქსირდა. 1. ყველა ენის თანასწორუფლებიანობა; 2. ერთა თვითგამორკვევის უფლება.

1918 წელს მიღებულ „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაციაში“, შემდეგ კი რსფსრ-ს კონსტიტუციაშიც, ეს მუხლები უცვლელი სახით შევიდა. ლენინი მიიჩნევდა, რომ რომელიმე ენისთვის სახელმწიფო სტატუსის მინიჭება ენათა თანასწორუფლებიანობის დარღვევა იქნებოდა. საერთოდ, ენის სახელმწიფო სტატუსი მას „ბურჟუაზიულ კატეგორიად“ მიაჩნდა. ლენინის აზრით, რუსეთის ფედერაციაში მცხოვრები ხალხები ნებაყოფლობით, ყოველგვარი „სტატუსის“ გარეშე აღიარებდნენ რუსულ ენას ერთაშორის ურთიერთობების ენად. რსფსრ-ს შემდეგ წარმოქმნილ უკლებლივ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუციის ლენინური რუსული კონსტიტუცია დაედო საფუძვლად. საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციაზე მუშაობა 1921-1922 წლებში მიმდინარეობდა. საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში კომუნისტებთან ერთად მემარცხენე ფედერალისტებიც ღებობდნენ მონაწილეობას. სწორედ მათი წარმომადგენელი – სიმონ ზუნდაძე გამოვიდა წინადადებით, კონსტიტუციაში შეეტანათ მუხლი ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის შესახებ. თავის წინადადებას ზუნდაძემ შემდეგნაირად ასაბუთებდა: ეს სტატუსი ქართულ ენას გააჩნდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის მიხედვით. თუ ჩვენ უარს ვიტყვით ამ სტატუსზე, ამით სერიოზულ არგუმენტს მივცემთ ემიგრაციაში მყოფ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, ამტკიცონ საბჭოთა ხელისუფლების არაეროვნულობა.

ქართველ ბოლშევიკებს ჭკუაში დაუჯდათ ხუნდაძის არგუმენტი. კონსტიტუციისთვის მათ კრემლს, ლენინს და სტალინს მიმართეს. საბჭოთა ხელმძღვანელებმა მაშინ შესაძლებლად ჩათვალეს საქართველოსთვის ამ გამოწვევის დაშვება. ლენინის აზრით, საბჭოთა ხელისუფლება, კონსტიტუციის გათვალისწინებით, უნდა წასულიყო ისეთი კომპრომისზე, რომელიც მოიცავდა ქონსტიტუციის მიხედვით ხელს შეუწყობდნენ საბჭოთა ნაციონლების განმტკიცებას. კონსტიტუციიდან მცდარი მუხლების ამოღება კი საბჭოთა ხელისუფლების ფეხზე მყარად დადგომის შემდეგაც შეიძლებოდა.

1937 წელს, ეგრეთ ნოდებული გამარჯვებული სოციალიზმის კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, იურისტებმა კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღების საკითხი დააყენეს, მაგრამ სტალინმა მაშინ ამ ნაბიჯის გადადგმა ნაადრევად მიიჩნია. 1978 წელს, „განვითარებული სოციალიზმის“ კონსტიტუციის პროექტზე მუშაობისას, ეს საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში. საქმე ის იყო, რომ ნებისმიერი საბჭოთა კონსტიტუცია უცვლელად იმეორებდა ყველა ენის თანასწორუფლებიანობის ლენინური დებულებას. ლენინის კულტის პირობებში ამ მუხლის კონსტიტუციიდან ამოღებაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო. არადა, ეს დებულება პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა ენის სახელმწიფო სტატუსის დებულებას. მართლაც, თუ ყველა ენა თანასწორუფლებიანია, მაშინ რას ნიშნავს ერთი ენის გამორჩევა სახელმწიფო სტატუსით? სწორედ ამიტომ მოითხოვდნენ იურისტები წინააღმდეგობის აღმოფხვრას სახელმწიფოს ძირითად კანონში.

საბჭოთა კავშირის მაშინდელი ხელმძღვანელობა აცნობიერებდა, რომ საქართველოს კონსტიტუციიდან ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღებას საქართველოში ვნებათაღელვა მოჰყვებოდა. ამის მიუხედავად, მისი ამოღება მაინც გადაწყდა. ქართველი ხალხის მოსალოდნელი აღმოთქმის გასაწინააღმდეგებლად კი კონსტიტუციის პროექტში ჩაიწერა, რომ სახელმწიფო ყველანაირად შეუწყობს ხელს ქართული ენის განვითარებასა და აყვავებას. ამან საქმეს ვერ უშველა. კონსტიტუციის პროექტის გამოქვეყნებას თბილისში სტუდენტთა მძლავრი საპროტესტო მიტინგები მოჰყვა. ყველაფერიდან ჩანდა, რომ ქართველი ახალგაზრდები თავიანთი აღმზრდელი პროფესორ-მასწავლებლებისა და მთელი ქართველი ხალხის მხარდაჭერით სარგებლობდნენ. კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო განხილვის დროს ქვეყნის თითქმის ყველა ორგანიზაცია-დანესებულებამ (გამონაკლისს შეადგენდა მხოლოდ თბილისის ტაქსების პარკი) კონსტიტუციაში ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის უცვლელად დეტალურად მოთხოვნა.

14 აპრილი ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში თავი მოიყარა თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტობამ. 12 საათისთვის ახალგაზრდები მთავრობის სასახლისკენ დაიძრნენ. ამ დღეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს სესიის ახალი კონსტიტუცია უნდა მიეღო. სტუდენტებს გადაწყვეტილი ჰქონდათ, არ დაეშვათ კონსტიტუციიდან ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღება. ეს საბჭოთა ხელისუფლებასთან ღია დაპირისპირებას ნიშნავდა, რასაც ხელისუფლება მანამდე ყოველთვის ტყვიებით პასუხობდა. ამიტომაც, თუ ხელისუფლების რეპრესიების მსხვერპლნი გახდებოდნენ, სტუდენტებს ჯიბეში ფურცელიც დაწერილი თავიანთი ვინაობა და მისამართი ედგოთ.

საქართველოს კომპარტიის მაშინდელი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დედურა შვეარდნაძე ენერგიულად მოქმედებდა. მან რამდენჯერმე დაურეკა კრემლს. შვეარდნაძემ მოსკოვისკენ დათმობაზე წასვლას მოითხოვა. ბოლოს დაბოლოს, კრემლი დათანხმდა. სესიის მუშაობა რადიოთი გადაიკრებოდა და რუსთაველზე შეკრებულ ახალგაზრდებს შესაძლებლობა შეეძინათ, კომუნისთან დელეგატებისთვის. შვეარდნაძემ სესიაზე ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის უცვლელად დეტალურად შესახებ გამოაცხადა... ეს მთელი ქართველი ხალხის, პირველ რიგში კი სტუდენტობის დიდი გამარჯვება იყო!

ცხადია, საბჭოთა ხელმძღვანელობა შეფარულად ატყარებდა ეროვნული ენების რუსული ჩანაცვლების გეგმებს. ამიტომ, ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმების მცდელობა ამ მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯადაც შეიძლება განვიხილოთ. თუმცა, აუცილებელია ჩავუღრმავდეთ ხელი-სუფლებს ამა თუ იმ ქმედების მოტივებსაც. ამ შემთხვევაში კი ხელისუფლების მთავარ მოტივს წარმოადგენდა კონსტიტუციის მუხლებს შორის არსებული წინააღმდეგობის აღმოფხვრა. კონსტიტუციიდან ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის ამოღებას მოითხოვდნენ იურისტები და არა პოლიტიკოსები. საქმე ეხებოდა ქართული ენის მართლმადიდებლურ გათანაბრებას საბჭოთა კავშირში შემავალი სხვა ხალხების ეროვნულ ენებთან და არა მისი უფლებების შეზღუდვას. ამიტომაც არ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქართული ენის სახელმწიფო სტატუსის გაუქმება მისიერად შეზღუდვად მისი გამოყენების არაა.

შემონათქვამი ოდნავადაც არ ამცირებს ქართველი ახალგაზრდობის ღვაწლს ეროვნული იდეალების დაცვაში. ფაქტების მიუკერძოებელი ანალიზი კი არა მხოლოდ წარსულის მართებულ გააზრებაში, მომავლის სწორად განჭვრეტაშიც გვეხმარება.



## ფონდი „კრისტალი“ – ახალგაზრდების ბიზნეს-პროექტების წარმატებისთვის

კრისტალის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლამ, პროგრამა YES-GEORGIA-ს ფარგლებში, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო 2019 წლის ნოემბერში. პროგრამის ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID). სკოლა, სადაც სწავლება 2 ეტაპზეა გათვალისწინებული, ახალგაზრდებს აძლევს წარმატებისა და კონკურსში გამარჯვებული ბიზნეს-პროექტების დაფინანსების შესაძლებლობას. YES-GEORGIA-ს პროგრამის ხელმძღვანელი – ნინო ლაგვილავას პირველი შეხვედრა უნივერსიტეტს, ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის პროგრამაში კონკურსის წესით შერჩეულ ახალგაზრდებთან და, ასევე, კონკურსის წესით შერჩეულ მენტორთან – უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, პროფესორ რინო თათეშვილთან, გასული წლის 8 ნოემბერს შედგა.

24 აპრილს, პროგრამის ხელმძღვანელი კვლავ ეწვია სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში კრისტალის ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის შემაჯამებელი შეხვედრისთვის. პროფესორი რინო თათეშვილი უძღვებოდა შეხვედრას, რომლის მიზანი იყო მსმენელების ბიზნეს-იდეების განხილვა. ქალბატონმა ნინომ მოისმინა ყველა ავტორის ბიზნეს-იდეა, მისცა საჭირო მითითებები და რჩევები, ასევე, სამომავლოდ უსურვა წარმატებები.

შეხვედრის დასრულების შემდეგ გაზრდის კორესპონდენტმა ჩაიწერა პროგრამის ხელმძღვანელის – ნინო ლაგვილავას და პროფესორ რინო თათეშვილის საუბარი.

**ნინო ლაგვილავა:** უკვე მეხუთე წელია, რაც ხორციელდება ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის პროგრამა. მასში იხვეწენ 16-28 წლამდე ახალგაზრდას და ნებისმიერი პროფესიის, ნებისმიერი ბევრაუნდის პიროვნებას, ორი წლის განმავლობაში, მუშაობა მიიღოს მენარმეთის განვითარების უნარჩვევები, ცოდნა, შემდეგ დაწეროს ბიზნეს-პროექტი. საუკეთესო ბიზნეს-პროექტები მიიღებენ თანადაფინანსებას ფონდი „კრისტალი“ მიერ. მიხდა გითხრათ, რომ 45 ახალგაზრდის პროექტი უკვე დაფინანსდა, ისინი წარმატებით ახორციელებენ თავიანთ ბიზნესს სხვადასხვა რეგიონში.



დღევანდელი ტრენინგი ახალციხეში მეორეჯერ ტარდება. ძალიან მოტივირებული ახალგაზრდები არიან, ძალიან საინტერესო ბიზნეს-იდეები არიან მოსულნი. ამ ტრენინგის მეორე ჩვენ შევარჩევთ მათგან საუკეთესოებს და გადავიყვანთ მეორე ეტაპზე. მე ძალიან მიყვარს ეს რეგიონი და იმედი მაქვს, რომ გამოვლინდებიან გამარჯვებულები, რომლებიც დაინახებენ თავიანთ ბიზნეს-საქმიანობას ამ რეგიონში.

**რინო თათეშვილი:** ახალგაზრდა მენარმეთა სკოლის მიზანია მოქალაქეების ფინანსური ინტეგრაცია და განათლება. ეს, ძირითადად, ეხება ახალგაზრდებს – ხელი შეუწყოს მათ განვითარებას და სამენარმეო საქმიანობაში ჩართულობას. ამ სკოლამ სხვადასხვა რეგიონში გადამწვია, ჩამოყვანილია ფილიალები, მათ შორის, ჩვენს რეგიონშიც. დიდი მადლობა მინდა

თუნი იყვნენ თავისუფლად, საკუთარ მოსაზრებებს გვიზიარებდნენ, შესაბამისად, თავიანთი ბიზნეს-იდეების უფრო სრულყოფილად ჩამოყალიბების საშუალება ეძლეოდათ, რათა შემდგომ ინვესტორებს წარუდგინონ ბიზნეს-პროექტები, დაფინანსება რომ მოიპოვონ. რამდენადაც ცნობილია, საქართველოს მასშტაბით 30 საუკეთესო ბიზნეს-იდეა დააფინანსებს ალ-მედიკალური ინვესტიციის ფონდი. ვფიქრობ, რომ საუკეთესოები, მინიმუმ – 2, ჩვენგანაც გადავა. გარდა ამისა, ვინც გაიმარჯვებს, მათი ბიზნეს-იდეები განთავსდება მათ საიტზე და შეიძლება სპონსორები,

ინვესტორები დაინტერესდნენ მათი პროექტებით და სხვა სახის დაფინანსებები მოიპოვონ.

ამდენად, პირველი ეტაპი დასრულდა და უკვე გადავდით მეორეზე. საკმაოდ სიღრმისეულად გაიარეს მენარმისათვის აუცილებელი უნარები და ინსტრუმენტები, რას უნდა ფლობდნენ, რომ კარგად ჩამოაყალიბონ შემდგომ ბიზნესის გონებრივი რუკა, რა არის ბიზნეს-მოდელი, როგორ უნდა დაინტერესდნენ. შეხვედრები ატარებდნენ ლექცია-სემინარის ხასიათს, რომლებიც არ იყო ტრადიციული. მასში ახალგაზრდები ჩართულნი იყვნენ დაინტერესდნენ. ფაქტობრივად, ეს გონებრივი რუკა უნდა დიახტოს საკმაოდ სიღრმისეულად; მისწავლეს ბაზრის მოდელი, რამოდელზე და რა სექტორზე მოუწევთ შესვლა თავიანთი ბიზნეს-მოდელის შესაბამისად; ზოგიერთს ჰქონდა სისტემური, ზოგიერთს – სარწყავი სისტემა, სწრაფი კვება და სხვა იდეები. დეტალურად გაეცნენ კონკურენტის პროცესებს და პირობებს – როგორ უნდა ჩამოაყალიბონ ურთიერთობა მომხმარებელთან; სიღრმისეულად გააანალიზეს რესურსები და პარტნიორები; და ბოლოს – როგორ უნდა გააკეთონ პრეზენტაცია თავისი ბიზნეს-მოდელის. ეს ცოდნა-უნარები შეიძინეს მსმენელებმა.

იმდენად საინტერესოდ წარმოვიდა სკოლის მუშაობა, რომ როდესაც ამ პროექტში ჩართული ახალგაზრდებისგან გაიგვეთ მათმა თანატოლებმა, რა ხდებოდა აქ, ითხოვეს – იქნებ ჩვენც შევიძინოთ ასეთი ცოდნა და უნარი ბიზნეს – პროექტების მომზადებისთვისო. მე ვთხოვე ზავშევსებ, შეექმნათ ცალკე ჯგუფი და აუცილებლად მათაც მოვეხმარებო და ვასწავლი თანამედროვე მეთოდებს, თუ როგორ წამოიწყოს ახალგაზრდამ საქმიანობა.

მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი, რაც ისწავლეს, არა მხოლოდ ამ ჩარჩოში იქნება მოქცეული, ეს გამოადგებათ მუდმივად, დაეხმარებათ პროექტების წერაში. ეს არის სენი, რომელიც არ იკურნება. მთავარია, რომ ახალგაზრდები მიხვდებიან, სხვა კი არ უნდა მიჩერდნენ – დამასაქმეო, არამედ თვითონ წამოიწყებენ საქმიანობას და შეძლებენ სხვებიც დაასაქმონ.

მეორე ეტაპი გაგრძელდება თბილისში და ეს წინადადებები წარგზავნება კომისიას და შესაბამისად იქნება განხილვა და დაფინანსებისათვის. მე ვფიქრობ, კარგი საქმე გაკეთდა ჩვენი უნივერსიტეტისათვის და რეგიონის ახალგაზრდებისთვის, რისთვისაც კიდევ ერთხელ დიდ მადლობას ვუხდით ფონდი „კრისტალი“ წარმომადგენლებს.

**რინო თათეშვილი**



**სამცხე-ჯავახეთის** სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, 2019 წლის 19 მარტს, სტუდენტებისთვის ჩატარდა ტრენინგი თემაზე – **სამეცნიერო საქმიანობის გაუმჯობესება ელექტრონული რესურსების გამოყენებით**. ტრენინგის მიზანი იყო, სტუდენტებს გაეცნოთ ELSEVIER-ის წამყვან საერთაშორისო ონლაინ გამოცემულ ნაშრომებზე წვდომისა და გამოყენების შესაძლებლობები, მსოფლიოში ციტირებისა და აბსტრაქტების უდიდესი საერთაშორისო ბაზის ScienceDirect-ით სარგებლობის წესები და აიპო საქართველოს ბიბლიოთეკების ინტეგრირებული საინფორმაციო ქსელის „კონსორციუმი – 2017“-თან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულ ყველა ელექტრონულ რესურსზე დანერგვითი ინფორმაცია. ამ ხელშეკრულების საფუძველზე, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს ეძლევა უფლება, მიიღოს მონაწილეობა პროექტში „**ელექტრონული ინფორმაცია ბიბლიოთეკებისთვის – eIFL**“, კერძოდ გამოიყენოს შემდეგი ელექტრონული რესურსები: Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>) e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>) Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>) IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMEche>) OpenEdition Journals (<http://www.openedition.org/>) Royal Society Journals Collection (<https://royalsociety.org/journals/>) SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>) SAGE APCs for Open Access Journals (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/pure-gold-open-access-journals-at-sage>).



## განახლებული საბიბლიოთეკო სერვისები

**სათუნა კვინცხაძე**  
სამეცნიერო ბიბლიოთეკის ტექნიკური ხელმძღვანელი

პრეზენტაციაზე დანერგვითი იყო წარმოდგენილი ყველა ბაზაზე დარეგისტრირებისა და სასურველი ინფორმაციის მოძიების დეტალური განხილვა. სამეცნიერო ბიბლიოთეკამ წარმოადგინა ახლადდარეგისტრირებული სტუდენტური სერვისი, რაც ითვალისწინებს საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან წვდომის გასამარტივებლად საძიებო სისტემის გზამკვლევის განთავსებას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე (<http://www.sjuni.edu.ge/ge/>) ბიბლიოთეკა, გზამკვლევი და საინფორმაციო მასალა). გზამკვლევი ყველა შესაძლო ტექნიკურ დეტალზე განმარტება, მითითებულია საუნივერსიტეტო მეილები, რითაც ინდივიდუალური დარეგისტრირების გარეშე, დაინტერესებულ პირებს საშუალება ექნებათ ნებისმიერ ბაზაზე განახორციელონ წვდომა და გადმოიწიონ მათთვის სასურველი ელექტრონული ფაილები. კიდევ ერთი ახალი სერვისი – სტუდენტთა მომსახურებისთვის უნივერსიტეტის ვებ-გვერ-

დზე განთავსებული ყველა ელექტრონული წიგნის ჩამონათვალი, რაც სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფონდს გააჩნია. მიმდინარეობს ტექნიკური სამუშაოები, რათა განხორციელდეს წვდომა ყველა ელექტრონულ სახელმძღვანელოზე უნივერსიტეტის შიდა ქსელში ჩართული კომპიუტერების მეშვეობით, ამისათვის უკვე შეძენილია სპეციალური აპარატურა. შესაძლებელი იქნება აღნიშნული რესურსის გახსნა, ნაკითხვა და გადმოწერა. სამეცნიერო ბიბლიოთეკაში შექმნა სპეციალური მოთხოვნის ფურნალი და ბარათები, სადაც ყველა მსურველს შეუძლია ჩაწეროს მისთვის სასურველი ელექტრონული სახელმძღვანელოს დასახელება, რომელიც მას სურს მიიღოს ელ. ფოსტით; სამეცნიერო ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს მოთხოვნის შესრულებას 24 საათის განმავლობაში. ასევე, შესაძლებელია სტუდენტის ან პროფესორ-მასწავლებლის მოთხოვნის საფუძველზე შეიქმნას ნებისმიერი სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია. მოთხოვნები შესაძლებელია გამოიგზავნოს საკონტაქტო ელ. ფოსტაზე ([khkvintskhadze@gmail.com](mailto:khkvintskhadze@gmail.com)). 2015 წლიდან სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ბიბლიოთეკა

არის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ფილიალი, რაც საშუალებას გვაძლევს, ვისარგებლოთ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდითაც, სტუდენტებს განემარტათ თუ რა სახის სერვისი შეევიძლება შევთავაზოთ მათ. თუკი რომელიმე საჭირო წიგნი არ მოიპოვება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, მაშინ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სპეციალური მიმართვის საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვაქვს მივიღოთ მათ ფონდში არსებული



ხეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წიგნად ფონდში, მაშინ ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში სპეციალური მიმართვის საფუძველზე, ჩვენ საშუალება გვაქვს მივიღოთ მათ ფონდში არსებული

**განათლების** სფეროში განხორციელებული ცვლილებები მრავალ პედაგოგს ალუბრავს მოტივაციას, განახორციელოს ეს თუ ის პროექტი, დაგეგმოს მისწავლეზე ორიენტირებული გაკვეთილები, ითანამშრომლოს სხვა სკოლის პედაგოგებთან. მოგეხსენებათ, რამდენად მნიშვნელოვანია გამოცდილების ერთმანეთისათვის გაზიარება. სწორედ ამას ისახავდა მიზნად საკონსულტაციო, საგანმანათლებლო ორგანიზაცია Key Consulting-ის მიმდინარე წლის 30-31 მარტს გამართულ კონფერენციაზე – „**თანამედროვე გამოწვევები სწავლების პროცესში**“. კონფერენციას ამ ორგანიზაციის პარტნიორმა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტმა უმასპინძლა. რამდენიმე წლის წინ დაარსებული Key Consulting-ის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში ახორციელებს საგანმანათლებლო პროექტებს და ეხმარება მასწავლებლებს, მომზადდეს და მოსწავლეებს განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში. 30-31 მარტის კონფერენციის მიმართულებები გახლდათ: **სწავლების ინტერაქტიული მეთოდები; მოზარდის ფსიქოლოგია; მშობელთა ჩართულობა სწავლის პროცესში; ბულინგი და მასთან ბრძოლის მეთოდები**. კონფერენციაში მონაწილეობდნენ სხვადასხვა რეგიონის პედაგოგები. სამცხე-ჯავახეთიდან – სჯსუ მონვეული დოქტორი **ნათელა მელიქიძე** მოხსენებით „**მხატვრული ტექსტის გაზრებისათვის**“ და ახალციხის მე-6 საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი, სჯსუ დოქტორანტი, **ნანა ლომინაშვილი** მოხსენებით „**კონფლიქტური სიტუაცია სკოლაში და ქცევის მართვა**“. კონფერენციამ გამოკვეთა ბევრი მტკივნეული საკითხი, რაც სდე-



## ხელახალი გამოწვევის გასაზიარებლად

ვს სწავლა-სწავლების პროცესს. მე ვისაუბრებ კონფლიქტურ სიტუაციასა და ქცევის მართვაზე, – მიმართა კონფერენციის მონაწილეებს ნანა ლომინაშვილი, – ხშირად გვინახავს კონფლიქტები სასწავლო დანესებულებაში სხვადასხვა ასაკის სოციალური შორის. სკოლა ხომ ის ადგილია, სადაც თავს იჩენს ყველაზე მეტად ასეთი სიტუაციები. ეს გარდაუვალი ნაწილია ადამიანის ინტერაქციისა, ზრდისა და განვითარებისათვის. მოგვარებული კონფლიქტი სკოლის წარმატებისა და კულტურის ნაწილი ხდება და განსაზღვრავს ჯანსაღ გარემოს. სკოლის თანამშრომლებს ხშირად უხდებათ ჩარევა კონფლიქტურ სიტუაციაში, რომლის სწორად გადაჭრა, სწორი სტრატეგიის შერჩევა არც ისე ადვილია. ქალბატონმა ნანამ ყურადღება გაამახვილა ქცევის სტრატეგიების თეორიულ შესწავლასა და მის დაკავშირებაზე პრაქტიკასთან. მისი აზრით, კონფლიქტის სწორად მოგვარება ხელს უწყობს ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, როგორცაა: მოსწავლეებში მოლაპარაკების პრობლემის შემოქმედები-

თად გადაჭრა, სტრესთან გამკლავება, სიტუაციის მრავალი მხრიდან დანახვა, შეფასება და გადაწყვეტილების მიღება. კონფლიქტების დაძლევის სტრატეგიების გამოყენება და კონსტრუქციული დიალოგი პიროვნებაზე პოზიტიურ გავლენას ახდენს. ხშირად კონფლიქტი არ არღვევს წესრიგს, არ იწვევს სტრესს, არამედ დადებით ცვლილებებს განაპირობებს. მთავარი ის კი არ არის, როგორ აცივდარი კონფლიქტი, არამედ როგორ გამოვიყენოთ პოზიტიური ცვლილებებისთვის, ინტერპერსო-

ლია, ასახელებენ: ცნობისმოყვარეობას, ინტერესს, ახალი ინფორმაციის გაგებას, სიამოვნების მიღებას, მწერლის ჩანაფიქრის ამოცნობას, სწავლას... ცნობილია, რომ კითხვა ადამიანს უფრო ატარებს როგორც წერით, ისე ზეპირმეტყველებას; კითხვის საშუალებით იფართოვებთ თვალსაზრისს, იმდინდებენ ლექსიკურ მარაგს. მკითხველს კითხვის პროცესს უადვილებს, როდესაც თემა ნაცნობია, საინტერესოა, ნაწინ გარკვეულია. ჩვენი არაქართველი სტუდენტები-



სათვის ქართული არაა მშობლიური ენა, მაგრამ მათი უმრავლესობა კითხვაში განაფულია, შესაბამისად ფლობენ ტექსტის სტრუქტურას, ეს კი საშუალებას გვაძლევს კითხვის შესაბამისი სტრატეგიის შერჩევას. ტექსტზე მუშაობისას სტუდენტებს ეხმარება კითხვის მიზნის განსაზღვრა, როდესაც იცის, რისთვის კითხულობს, რა ამოცანები აქვს შესასრულებელი, – ვთქვი და გავაგრძელებ: სასწავლო პროცესში გვიჩვენა, რომ არაქართველ სტუდენტებს უჭირთ ტექსტის შინაარსის სიღრმისეული წვდომა, იმ ინფორ-

ლი (4 მილიონი წიგნი) ნებისმიერი სახელმძღვანელოს ელ. ვერსია, დადგენილი წესის შესაბამისად, მაქსიმუმ, 48 საათის განმავლობაში. როგორც მოგეხსენებათ, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ჩართულია ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ TEMPUS-ის საგრანტო პროექტებში, როგორც პარტნიორი უნივერსიტეტი. მათ შორის ერთ-ერთია EU-INTEGRITY-ERASMUS+ – ACADEMIC INTEGRITY FOR QUALITY TEACHING AND LEARNING IN HIGHER EDUCATION INSTITUTIONS IN GEORGIA (სწავლისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად აკადემიური ინტეგრაცია საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში) 2017-2019 წწ. პროექტის მიზნებიდან და სტუდენტური სერვისების დამატებითი რესურსების გამოყენების მიზნით, წარმოდგენილი იქნა კიდევ ერთი პრეზენტაცია თუ როგორ ხორციელდება, პლაგიატის გამოვლენისთვის სტუდენტების მიერ დავალების ავტორთა პროგრამის – Turnitin-ის გამოყენებით. სტუდენტებს განემარტათ, როგორ უნდა მოიძიონ დადასტურებული ინფორმაცია თავიანთი ნაშრომებისთვის, როგორ უნდა მიუთითონ ნაშრომში ინფორმაციის წყარო, რას ნიშნავს პლაგიატი და ასე შემდეგ. სამეცნიერო ბიბლიოთეკა მზადაა, ნებისმიერ საკითხზე, კონსულტაცია გაუწიოს ნებისმიერ საბიბლიოთეკო რესურსების მომხმარებელს, როგორც ინდივიდუალურად, ასევე, ჯგუფურად. ამისათვის საჭიროა, საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, მსურველებმა წინასწარ შეავსონ სპეციალური ბარათები და მათთვის სასურველ დროს მიიღონ შესაბამისი კონსულტაციები. მაციის გაანალიზება, რომელიც ტექსტის „ზედაპირზე არ დევს“. ეს გასაკვირი არცაა, რადგან ნაკითხული გაზრების პრობლემები შეიძლება განაპირობოს მრავალმა ფაქტორმა, როგორცაა ტექსტის სირთულე, ახალი ცნებები და ენობრივი კონსტრუქციები. ხშირად დაობენ იმ საკითხზე, უნდა ისწავლებოდეს თუ არა მხატვრული ლიტერატურა სახელმწიფო ენის შემსწავლელებთან. მოსაზრების მომხრეები ფიქრობენ, რომ სწორედ მხატვრული ლიტერატურა ეხმარება ენის შემსწავლელს ქართულ ენობრივ სამყაროში შესაბამისად, თვალსაზრისის გასაფართოებლად, ლექსის შესასწავლად. საპირისპირო აზრის გამტარებლები სირთულედ მიიჩნევენ მხატვრულ ტექსტში მოცემულ ავტორისეულ თავისუფლებას ლექსიკაში, სიტყვათქმნაობაში, სინტაქსში, ფრაზოლოგიაში... კონფერენციის მონაწილეებისათვის არ დამიმაღავს ჩემი მოსაზრება, რომ მხატვრული ტექსტისა და ნარკვევით სალექციო აქტივობებით განერლი გურამ ლონდაძის ლექსი „ჯაჭვი“. საინტერესოა პრეზენტაციები წარმოადგინეს **მიმოზა ჩოგოვაძემ**, ქეთევან ჭილაძემ, ირინე გორიშაშვილმა, ეკა კობიაშვილმა, ლელა გაბისონიამ, მზევიანარ ტაბატაძემ, დალი თურმანიძემ და სხვებმა. კონფერენციის დასასრულს მონაწილეებს სერტიფიკატები და მოგვცა Key Consulting-ის დამფუძნებელმა ქალბატონმა **ლია ოხანაშვილმა** და წარმატებები გვისურვა. ჩვენ მომავალ კონფერენციებში მონაწილეობის სურვილით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. **ნათელა მელიქიძე**  
ფილოლოგიის დოქტორი, ქართულ ენაში მომზადების პროგრამის პედაგოგი



● **3 აპრილს**, უნივერსიტეტის I კორპუსის 123-ე აუდიტორიაში გაიმართა 2019 წლის რიგით პირველი შეხვედრა „საუბრები რექტორთან“. ასეთი შეხვედრები 2018 წელს რეგულარულად იმართებოდა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის, **მაკა ბერიძის** ინიციატივით. ასეთი შეხვედრებზე, რომელმაც კიდევ უფრო თბილი და უშუალო გახდა ურთიერთობა რექტორსა და სტუდენტებს შორის, არაფორმალურ გარემოში, ახალგაზრდებმა რექტორის წინაშე არაერთი მნიშვნელოვანი პრობლემა დასვეს, რომელიც ხელმძღვანელობის მიერ ოპერატიულად იქნა მოგვარებული. ამჯერადაც სტუდენტები კვლავ დასხდნენ რექტორთან ერთად მრავალი მაგისტის გარემო და კვლავაც ისაუბრეს მათთვის შესამჩნევი და გადასწყვეტი პრობლემების შესახებ.

● **9 აპრილი** საქართველოს ისტორიაში ორ მნიშვნელოვან მოვლენას აერთიანებს 1989 წლის ტრაგიკულ და დამოუკიდებლობის აღდგენას. დღეს 30 წელი გავიდა ამ ორი უსათუთესი მოვლენიდან. 9 აპრილს პატივს მივავებთ სამშობლოსათვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას, მაგრამ ამ დღემ ჩვენს მესხიერებაში, ტკივილთან ერთად, უდიდესი სიამაყის განცდაც დატოვა – ამ დღეს ქართველებმა ერთად დგომა და ეროვნული ერთიანობის მიღწევა შევძელით.

9 აპრილი ყოველთვის განსაკუთრებულად აღინიშნება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში, მით უფრო, რომ ამ მნიშვნელოვანი მოვლენიდან 30 წელი გავიდა. 10 აპრილს, ამ დღის აღსანიშნავად უნივერსიტეტის მესამე კორპუსში – ახალქალაქში შეიკრიბნენ

სტუდენტები, მათ ჯერ რექტორის მოადგილეს, ასოცირებულ პროფესორ **ვასილ მოსიაშვილსა** და ისტორიის დოქტორ **ედიშერ ნარიმანიძეს** მოუსმინეს, ხოლო შემდეგ თავიანთი აზრი დააფიქსირეს და თანადგომა გამოხატეს დაღუპულ გმირთა ხსოვნისადმი.

● **12 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმყოფებოდნენ ახალციხის მუნიციპალიტეტის წყრუთის საჯარო სკოლის XI-XII კლასის მოსწავლეები, რომლებიც შეხვდნენ უნივერსიტეტის რექტორს **მაკა ბერიძეს**. რექტორი ვრცლად ესაუბრა მოსწავლეებს უნივერსიტეტში არსებულ ვითარებასა და საგანმანათლებლო პროგრამებზე. რექტორის მოადგილემ სამეცნიერო დარგში, პროფესორმა **მერაბ ბერიძემ** მოსწავლეებს გააცნო უნივერსიტეტის კაბინეტ-ლაბორატორიები, მუზეუმი, სამეცნიერო ბიბლიოთეკა, სპორტდარბაზი. ღონისძიების ორგანიზატორი იყო წყრუთის საჯარო სკოლის ორენოვანი დამხმარე მასწავლებელი **ელზა რაისიანი** და ქართულის, როგორც მეორე ენის დამხმარე მასწავლებელი **ნატო კაჭკაჭაშვილი**.

● **16 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის კანცლერი, პროფესორი როინ თათეშვილი, უნივერსიტეტის მესამე კორპუსის (ახალქალაქი) სტუდენტებსა და თანამშრომლებს შეხვდა. მან, მიმდინარე საკითხებთან ერთად, დამსწრე საზოგადოებას „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების დამტკიცების შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 27 მარტის დადგენილება და

### ინფორმაცია

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ“ უნივერსიტეტის კანცლერის 2019 წლის 19 მარტის ბრძანებაც გააცნო.

შეხვედრის მიმდინარეობისას როინ თათეშვილმა სტუდენტებისაგან და თანამშრომლებისაგან მოისმინა მესამე სასწავლო კორპუსისა და საერთო საცხოვრებელში არსებული პრობლემები და ერთობლივად განიხილეს ამ პრობლემების მოგვარების გზები, რომელთა ნაწილიც ადგილზევე გადაწყდა, ნაწილი კი ეტაპობრივად აღმოიფხვრება. ახალქალაქში ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შეხვედრას თანამშრომლებთან წინ უხსნებდა, 12 აპ-



ბა. გუნდის მიზანია მუნიციპალიტეტებში არსებული ბიზნეს პროცესების შესწავლა და შეფასება, ელექტრონული სისტემის დანერგვა და მხარდაჭერა. სტუმრებმა დანვრილებით ისაუბრეს დაინტერესებულ სტუდენტებთან აღნიშნული პროექტის ირგვლივ და უპასუ-

დამთვალეირებელს საშუალება ჰქონდა, გაცნობოდა უნივერსიტეტის ნივთების როგორც ფიზიკურ მახასიათებლებს, ასევე, მათ შინაარსს. სპეციალურად ამოიბეჭდა ამ დღისადმი მიძღვნილი საცნობარო მასალები. გამოფენამ სტუდენტთა დიდი ინტერესი გამოიწვია.



რილს, ახალციხეში, უნივერსიტეტის I და II კორპუსის თანამშრომლებთან შეხვედრა ანალოგიურ საკითხებზე.

● **18 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტს პრეზენტაციისათვის ეწვია პროექტის კოორდინატორი **თემურ კაკრიაშვილი** და მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს (MSDA) ადმინისტრაციის უფროსი **ვლადიმერ კილასონია**.

ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტო“ (MSDA) საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაკვეთითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, იწყებს მუშაობას თვითმმართველ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტებში ელექტრონული სისტემების დანერგვაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიქმნა რეგიონებში ელექტრონული სისტემების „ბიზნეს ანალიტიკოსთა“ გუნდის ფორმირების აუცილებლო-

ხეს კითხვებს. კონკურსში ჩართვის მსურველ სტუდენტებს ორი ეტაპის გავლა მოუწევთ, რომლის ნარმატებით გადალახვის შემთხვევაში კანდიდატები გაივლიან უფასო გადამზადების კურსს თბილისში.

პირველ ეტაპზე გასაუბრება გაირა სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ათმა სტუდენტმა.

● **23 აპრილს**, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკაში, წიგნის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მოენყო ფონდში არსებული მინიატურული და ახლადმეძინილი წიგნების გამოფენა. შეგახსენებთ, რომ 1995 წელს იუნესკომ 23 აპრილი ოფიციალურად გამოაცხადა წიგნისა და საავტორო უფლებების მსოფლიო დღედ და მისი აღნიშვნა დაიწყო 1996 წლიდან. პირველ რიგში, იუნესკომ ამით მოუწოდა ახალგაზრდებს, ეკითხათ რაც შეიძლება მეტი წიგნი.



**2019 წლის 2 აპრილს** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტებს, სამხარეო სამართლებრივი ინსტიტუტის სამსახურის უფროსმა **ელგუჯა კელიშვილმა** და ინსპექტორმა **ლევან ნებაძემ**, ჩავეტიარეს პრაქტიკული სამუშაო – შემთხვევის ადგილის დათვალეირება გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდინარე, რა დროსაც აღმოვაჩინეთ გვამი.

შემთხვევის ადგილის დათვალეირება დაიწყო 14:10 წუთზე და დასრულდა

## პრაქტიკული სამუშაო

15:23 წუთზე. ამ დროის განმავლობაში ჩვენ შევასრულეთ ექსპერტ-კრიმინალისტების უფლება-მოვალეობანი, გავცვანით მსგავს საგამოძიებო მოქმედებათა ორგანიზების სპეციფიკას. აღჭურვილი ვიყავით კრიმინალისტიკური ლაბორატორიით; მასში შემავალ ხელსაწყოთა დანიშნულება ზედმიწევნით გაგვაცნეს გამოცდილმა და სამმართველოს კომპეტენტურმა წარმომადგენლებმა.

კრიმინალისტიკური ლაბორატორიის დანმარებით შევძელით მტკიცებულებათა სახით აღმოგვეჩინა ცივი იარაღი – დანა, ცეცხლსასროლი იარაღი, მათ შორის, მასრა და თითების ანაბეჭდები, რომლებიც საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ წესთა სრული დაცვით დაიღუპა.

მოხარული ვიქნებით თუ მსგავსი ტიპის ღონისძიებები მიიღებს ინტენსიურ სახეს, რადგან ჩვენთვის, როგორც სტუდენტებისათვის, ძალიან მნიშვნელოვანია, თეორიულ ცოდნასთან ერთად, პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოუმუშავება, ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობისა და კრიმინალისტიკის ერთმანეთთან დაკავშირება.

მიღწეულია შეთანხმება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კრიმინალურ სამსახურთან, ფაკულტეტის სტუდენტების მისავლინებლად კრიმინალისტიკური ლაბორატორიის საქმიანობის გასაცნობად. სამუშაოს მიმდინარეობის დროს



კურსელებს გაგვიჩინა სურვილი, დავხმარებოდით სოფელ აბასთუმანში მცხოვრებ სოციალურად დაუცველ ოჯახს. შეგროვდა თანხა და ტანსაცმელი. თანხით შევიძინეთ საჭირო პროდუქტები და გადავცით მათ.



**მარიამ სულაძე**  
**ნინო პაპიძე**  
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-3 კურსის სტუდენტები

**მარილაც**, რომელი იყო ნე-ტავ პირველი ქართული ტექსტი, რომელიც წავიკითხე ან დავეწერე, ძნელი გასახსენებელია. იქნებ ის ლექსები ან ზღაპრები, ბებო რომ მიყვებოდა, ან ტელევიზიიდან მესმოდა და თანდათან შევყავდი ქართული ენის ჯადოსნურ სამყაროში, ენის, ხალხისა და, საერთოდ, ყველაფრის სიყვარულს რომ უყრის საფუძველს?! ეს სიყვარული ამომიდავა გვერდში და დღეს ასე მივუყვები განათლების გზას მასთან და ჩემს მშობლიურ ენასთან ერთად. ის კი მახსოვს, როდესაც ენას საკმაოდ ვფლობდი, პირველად ილია ჭავჭავაძის „კაცია-ადამიანი“ წავიკითხე (გამოვტყდები – დედის რჩევით, და იმასაც გეტყვით, რომ ცოტა გამიჭირდა...)

ბობდი, რომ სახელმწიფო ენის ცოდნა უპირობოდ აუცილებელი და უაღრესად მნიშვნელოვანია ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ცხოვრობს კონკრეტულ სახელმწიფოში და სულაც არა აქვს მნიშვნელობა იმას, თუ ვინ არის



სამაგიეროდ, კარგად მახსოვს ქართულ ენაზე დაწერილი პირველი ტექსტი, რომელმაც პირველი წარმატება მომიტანა. ის ენებოდა ქართულ ენას და ქართულ ენასთან დაკავშირებულ პრობლემებს, კერძოდ კი – ეთნიკური უმცირესობების თვალთ დანახულ ბარიერებს სახელმწიფო ენასთან მიმართებაში, სწავლის პროცესში ნამოჭრილი სირთულეებს და, ზოგადად, სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობასა და მნიშვნელობას. ეს იყო პირველი ესეი, რომელიც ქართულ ენაზე დავწერე. სკოლის მოსწავლე ვიყავი, როდესაც აღნიშნული ესეების კონკურსი გამოცხადდა, მხოლოდ არაქართულენოვანი სკოლების მოსწავლეებისათვის და პირველი სიგელი სწორედ ამ კონკურსში მივიღე. ამ თემამ უფრო ჩამაფიქრა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია სხვათა ისტორიის, ენის, კულტურის შესწავლა, მით უმეტეს, იმ ერის კულტურის, ისტორიისა და, რა თქმა უნდა, ენის შესწავლა, სადაც თავად ცხოვრობ.

## ჩემი პირველი ქართული ტექსტი

ის – ეთნიკური უმრავლესობისა თუ უმცირესობის წარმომადგენელი. შესაბამისად, საქართველოში მცხოვრები პირებიც უნდა ფლობდნენ სახელმწიფო ენას. ვფიქრობ, სახელმწიფო ენის ცოდნა აუცილებელია ახალ სოციალურ ადაპტირებისათვის და ძირითად ელემენტს წარმოადგენს საზოგადოებაში ინტეგრირების პროცესის დროს.

ბებია რომ ვახსენე, ჩემი დედის დედა, ნახევრად ქართველი გახლდათ. მან დიდი წვლილი შეიტანა ჩემს აღზრდაში. სწორედ მისგან ვიცი, თუ რაოდენ საჭიროა ენის ცოდნა თუნდაც ელემენტარული კომუნიკაციისათვის, რომ აღარაფერი ვთქვათ ინფორმაციის მიღებასა და სახელმწიფო, ან საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობაზე. მე მსურს, რომ ჩემი ქვეყნის სრულყოფილებიანი მოქალაქე ვიყო, ეს კი სახელმწიფო ენის ცოდნის გარეშე შეუძლებელია.

ასაკის მომატებასთან ერთად, თანდათან უფრო ბევრს ვსწავლობდი და ვეცნობოდი, თუ რა

სირთულეების გადალახვა მოუწია ქართველ ერს, ქართული ენა რომ შენარჩუნებულიყო. ორი უძველესი ენის ისტორიის ქართველები კიდევ უფრო განმანებდა მეტი შეცნობისათვის. ჩემთვისაც მტკივნეული გახდა 14 აპრილი, რომლის შესახებ აქამდე მხოლოდ ის ვიცოდი, რომ 1990 წლიდან ენის დღედ აღინიშნება. მოგეხსენებათ, სსრ უზენაესმა საბჭოთა შემოქმედმა კონსტიტუციის გეგმა, რომელშიც, 1936 წლის კონსტიტუციისგან განსხვავებით, ქართული ენა სახელმწიფო ენად აღარ ითვლებოდა. მგრძობიარე იყო იმ მასალების წავითხვა, სადაც მოთხრობილი იყო ენის დასაცავად გამოსული ხალხის სულისკვეთებისა და თავგანწირვის შესახებ. ქართველი ახალგაზრდობა წინ აღუდგა სახელმწი-

ილია ჭავჭავაძე ამბობდა – „მტრობა ენისა არს მტრობა ქვეყნისა“, ანუ თუ ენას არ ვცემთ პატივს, მამასადავ, იმ ერსაც არ ვცემთ პატივს. სამწუხაროდ, ზოგი ფიქრობს, რომ სხვა ენის შესწავლა მშობლიური ენის დეგრადირებას და სხვა ენებში ასიმილირებას გამოიწვევს. ეს მცდარი აზრია და აბსურდულიც. ვფიქრობ, არ არის საჭირო კატეგორიული ხედვა ამ საკითხის მიმართ. მარტივად შესაძლებელი ბალანსის დაცვა, რათა არ დაივიწყო შენი ისტორია, კულტურა და ენა, რაც შენს მეობასა და ეროვნულობას უსამს ხაზს და ეს ასევე უნდა იყოს. როგორ შეიძლება ამის დავიწყება?! იცავდე შენი ენის სინამდის, ეს ნიშნავს – იცავდე შენს ვინაობას, შენს მეობას, ღირსებას, შენი ერის კულტურასა და ისტორიას.

ფო ენის სტატუსის ჩამორთმევას და ამ ბრძოლაში გამარჯვებით დაამტკიცეს, თუ რაოდენ ძვირფასია მშობლიური, სახელმწიფო ენა მათთვის.

არც ადრე აკლდა ქართულ ენას დევნა და აკრძალვა. იტალიელი ისტორიკოსი არქანჯელო ლამბერტი სამეგრელოს აღწერაში ხომ წერს: ქართველები ყველაფერს აკეთებდნენ საკუთარი ენის შენარჩუნებისათვის, ქართველმა ქალებმა თხოვნაც კი გაუზღვეს ეპისკოპოსს, რათა ქართულ ენაზე აღდგენილიყო წირვა-ლოცვა.

ენის შენარჩუნებისათვის მსგავსი სირთულეების გადალახვის შემდეგ უფრო მეტად უნდა იყოს დაფასებული და „ხელისუფლებამ ენა“. ისევ გავიმეორებ, რომ სახელმწიფო ენა უნდა იცოდეს ყველა იმ პირმა, ვინც ამ სახელმწიფოს ნაწილად თვლის თავს; რა მნიშვნელობა აქვს ეროვნებას, ყველამ ერთპიროვნულად უნდა სცეს პატივი იმ სახელმწიფო ენას, რა ენაზეც საუბრობენ სახელმწიფოში.

ნებისმიერი ერი ვალდებულია, იცავდეს საკუთარ ენას. მე ვიტყვით, რომ სწორედ ამიტომ გჭირდება სხვა ენის ცოდნა, რომ მოუყვე სხვას შენი სამშობლოს, შენი კულტურისა და ისტორიის შესახებ, გაცნო მას ის, რაც ასე გიყვარს. სხვათა ისტორიის, კულტურის, ენის პატივისცემა და შესწავლა სწორედ ასევე მნიშვნელოვანია. და თუ ამ ყველაფრის ნაწილი შენც ხარ, მაშინ პირდაპირ ვალდებული ხარ, ფლობდე სახელმწიფო ენას და პატივი სცე ხალხს, რომელმაც მოგცა საშუალება, ისწავლო და იცხოვრო მის ქვეყანაში...

მე, პირადად, ძალიან ვამაყობ, რომ ეროვნებით სომეხი ვარ და გამაჩნია უძველესი ისტორია და ენა, რომელსაც საკუთარი ანბანი გააჩნია და 14 ანბანს შორის არის. თუმცა, მე ორმაგად ამაყი ვარ, რომ იმ სახელმწიფოს მოქალაქე ვარ, რომელსაც, ასევე, გააჩნია დიდი ისტორია, ენა, რომელსაც საკუთარი ანბანი აქვს და იმავე 14 ანბანს შორისაა. როგორც დიდი ილია ამბობდა – „ენა, მამული,

სარწმუნოება“ – ესაა ყველაზე მნიშვნელოვანი ორიენტირი ჩვენი არსებობისა და ჩემი აზრით, საფუძველია ჩვენი სიამაყისა.

ენის შენარჩუნებაში ენის დახვეწილ მეტყველებასა და მართლწერის კულტურის დონის ამაღლებასაც ვგულისხმობ. მიხდა შევეხო ენაში შემოსულ უცხოურ ტერმინოლოგიას, ანუ ბარბარიზმების, ნეოლოგიზმების, სლენგებისა და სხვა ტერმინების სახით, რაც ხშირად აკნინებს ენას. ვფიქრობ, ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ენის შენარჩუნების პროცესში. ერთმა, რომელმაც საუკუნეების მანძილზე შეინახა და დღემდე მოიტანა საკუთარი ენა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ენისათვის სახელმწიფო სტატუსი შეენარჩუნებინა, ყოველდღიურადაც უნდა ზრუნავდეს მასზე, უნდა ეფერებოდეს მას, რათა შეიღებოს და შეიშველებს სუფთა, ანკარა წყაროსავით მორაკრაკე მეტყველება ასწავლოს და დაუტოვოს შემდეგში მოსაფერებლად.

მიხდა, ჩემი ესეი დავასრულო კონსტანტინე გამსახურდიას გენიალური სიტყვებით, რომელიც ამბობდა, რომ „ენის სინამდისათვის ბრძოლა ისეთივე საპატიო საქმეა, როგორც ხმლით დაცვა სამშობლოსი“. სრულიდ ვეთანხმები ამ აზრს, დავამატებ მხოლოდ, რომ საპატიოა ეს ბრძოლა, როგორც მშობლიური ენის, ასევე, არამშობლიურის, მაგრამ სახელმწიფო ენისათვის. ქართული ენის სახით საგანძური აქვთ როგორც, უშუალოდ, ქართველებს, ასევე, საქართველოში მცხოვრებ სხვა ერის წარმომადგენლებსაც. თითოეული ჩვენგანი, როგორც უკვდავების წყაროს, ისე უნდა ვენაფიქროდეთ მას, რადგან „ენა ბურჯია ჩვენი ქვეყნისა“, ენა დედაბოძია ჩვენი ქვეყნისა“. მე დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ ქართველი ენის ცოდნა მომიტანს წარმატებას.

**ნა არშოშინიანი**  
იურიდიული ფაკულტეტის სამართლის სპეციალობის მე-2 კურსის სტუდენტი

**„ჯანსაღი ცხოვრების წესი შენი არჩევანია“** – პროექტის ფარგლებში, 8 აპრილს, SKYE კლუბის, SKYE New Possibility ორგანიზებით, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში საზეიმოდ გაიხსნა ფრენბურთის ჩემპიონატი ვაჟთა და გოგონათა გუნდებს შორის. ჩემპიონატი პროექტის „SKYE New Possibility – „კომპეტენციები დასაქმებისათვის“ ფარგლებში, World Vision საქართველოს, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.



## „ჯანსაღი ცხოვრების წესი შენი არჩევანია“

მნიშვნელობაზე, აღნიშნულ პროექტზე, სამომავლო გეგმებზე და პარტნიორ ორგანიზაციებზე ესაუბრნენ SKYE კლუბის ლიდერი **მარიამ დვალისვილი**, კლუბის წევრი **რომა ფერაძე** და კლუბის ხელმძღვანელი და World Vision-ის სამცხე-ჯავახეთის კოორდინატორი **ალისა გიმიშიანი**.

ჩემპიონატის მონაწილეებს მიესალმა უნივერსიტეტის რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მაკა ბერიძე**: მივესალმები ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც ცხოვრების წესად ჯანსაღი ცხოვრება აირჩია. მიხდა, გამოეხატო დიდი პატივისცემა ჩვენი პარტნიორების მიმართ. ჩვენ ერთნაირი ხედვა გვაქვს და ეს ხედვა ახალგაზრდების ირგვლივ ტრიალებს. მივესალმები კლუბის წევრებს, ვუსურვებთ თითოეულ გუნდს წარმატებას. თითოეულ სტუდენტს მადლობას მოვახსენებ ჩართულობისთვის და მოვახსენებ, რომ მათი არჩევანი არის სწორი არჩევანი. მისასალმებელი სიტყვით წარსდგინე ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზ-

მის განყოფილების ხელმძღვანელი **მარინე გოგოლაძე** და მერიის სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი **მაია სხირტლაძე**. შემდეგ, პროექტის ხელმძღვანელებმა წარადგინეს ჩემპიონატში მონაწილე გუნდები. ფრენბურთის მატჩები უნივერსიტეტის სპორტდარბაზში ჩატარდა და ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ: „მარინე“, „შოივიჩი“, „ლემილის ბიჭები“, „მმართველები“, „მესხები“, „ნიუკასლი“, „Dream team, Turkey team, Volley“, „ქაოსი“, „ხელშეუხებელი“ და „განგსტერები“. მათგან 3 გოგონების გუნდი იყო, ხოლო 8

– ვაჟთა. ჩემპიონატში სულ 77 სტუდენტი ჩაერთო. ჩემპიონატი გაგრძელდება 10, 11 და 12 აპრილს.

ფინალში, 12 აპრილს, ვაჟებში გუნდმა „ნიუკასლიმა“ გაიმარჯვა, გოგონებს შორის კი პირველი ადგილი გუნდმა „ქაოსმა“ დაიკავა. ჩემპიონატში მონაწილეებს სიგელები, გამარჯვებულებს კი თასები გადაეცათ. გამარჯვებული გუნდები, ასევე, SKYE New Possibility-ის ორგანიზებულ გასვლით აქტივობაში მიიღებენ მონაწილეობას, რომელიც გაიმართება მწვანე მონასტრის ტერიტორიაზე.

ფრენბურთის ჩემპიონატის დასკვნით ღონისძიებას ესწრებოდნენ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი **როინ თათეშვილი**, ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლებისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი **ზაზა თამარაშვილი**, სპორტის განყოფილების ხელმძღვანელი **მაია სხირტლაძე**, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განყოფილების ხელმძღვანელი **მარინე გოგოლაძე**, სპორტის განყოფილების სპეციალისტები – **გელა ძამუნაშვილი** და **გელა ასანიძე**.

**ჩვენი კორესპონდენტი**



**რედაქტორი**  
**მარიამ ჯაფარიძე**

**მისამართი**  
ქ. ახალციხე, რუსთაველის 106

**ტელ.:** (+995) 22 890 400 191  
**ტელ.:** 599 25 25 68

**ვებ-გვერდი:** www.sjuni.edu.ge